შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (9.665)

17-24 იანვარი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ეპარქიას ახალი მღვდელმთავარი ჰყავს

ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიას ახალი მეუფე ჰყავს — დიმიტრი კაპანაძე ის ამ დრომდე ზესტაფონში მსახურობდა, ამიერიდან კი ხორნაბუჯის ეპარქიის მღვდელმთავარი იქნება.

უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე) დადგენილ იქნა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსად, ხოლო ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) დადგენილ იქნა ხორნაბუჯის ეპისკოპოსად.

15 იანვარს ზესტაფონში გაიმართა მეუფის წარდგენა, 16 იანვარს კი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. წარდგენის ცერემონიას წმინდა სინოდის წევრებიც ესწრებოდნენ.

მრევლს ახალი მეუფე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ წარუდგინა და მეუფე მელქისედეკს მსახურობისთვის მადლობა გადაუხადა.

მეუფე მელქისედეკთან ერთად აქვე იმყოფებოდნენ ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, ხობისა და ფოთის ეპისკოპოსი გრიგოლი, ვანისა და ბაღდათის მღვდელმთავარი მეუფე ანტონი.

მიტროპოლიტმა თეოდორემ მრევლს მოუწოდა, რომ მეუფე დიმიტრის დიდი მხარდაჭერა სჭირდება, ის გამოცდილია, თუმცა, უცხო მხარეში მრევლის თანადგომა მნიშვნელოვანია. მანვე აღნიშნა, რომ ეპისკოპოსისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჰერეთში მცხოვრები ქრისტიანების მხარდაჭერა. მიტროპოლიტმა მადლიერება გამოხატა იმ მრევლის და სასულიერო პირების მისამართით, რომლებიც მეუფის წარდგინებაზე დასასწრებად ისტორიული ჰერეთიდან ჩამოვიდნენ. შემდეგ კი მრევლს მეუფეებმა მიმართეს.

მეუფე მელქისედეკი: „უპირველეს ყოვლისა მინდა დავულოცო მოღვაწეობა მეუფე დიმიტრის, რომელიც გამორჩეულია, თავისი სულიერებით და ბევრი დადებითი თვისებით. ძალიან მადლიანი მხარეა ეს ეპარქია. ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია მას. მაგალითად მხოლოდ ისიც კმარა, რომ სოფელ არხილოსკალოს ისტორია მოვისმინოთ. ეს ჩვენი ისტორიაა, გვახსოვს, რომ იქ ბავშვები კალოზე გალეწეს და აქედან მომდინარეობს სოფლის სახელწოდებაც. გეტყვით, რომ როდესაც ტაძრისთვის საძირკველს ვთხრიდით, იქ ამოვიდა პატარა ბავშვების ნაწილები. ჰერეთზე აღარაფერს ვამბობ, ეს იმხელა მნიშვნელობის მხარეა. ღმერთმა გააძლიეროს მეუფე დიმიტრი და ეს ეპარქია. გთხოვთ, რომ ლოცვებში მომიხსენიოთ და მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველას იმ დიდი თანადგომისათვის, სიყვარულისთვის, რომელსაც ყოველთვის გამოხატავდით ჩემს მიმართ. ერთი მინდა გთხოვოთ, მეუფე დიმიტრის ყოველი კურთხევა ზედმიწევნით შეასრულოთ.“

მეუფე დიმიტრი კაპანაძე: „დაპირებების მიცემა არ არის სასურველი, უხერხულია, მითუმეტეს სასულიერო პირის მხრიდან. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ყველანაირად შევეცდები, რაც ჩემს მოვალეობებში შედის, ეპარქიის კეთილდღეობისთვის ყველაფერი გავაკეთო, მაგრამ მე დამჭირდება თქვენი დახმარება, მრევლის გვერდში დგომა. მართალია, მე ორი წლის განმავლობაში ამ კუთხეში ვმოღვაწეობდი, თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ხელახლა მომიწევს ეპარქიის გაცნობა. მინდა, უკვე როგორც თქვენმა მღვდელმთავარმა, მადლობა გადავუხადო მეუფე მელქისედეკს განეული ღვაწლისთვის. დავულოცო გზა იმ ეპარქიაში, საიდანაც მე წამოვედი. ჩემთვის ბევრად მარტივია, ისევ იქ ვაგრძელებდე მსახურებას, მაგრამ ასეთია გადაწყვეტილება და უწმინდესის ლოცვა კურთხევის ძალა გვაქვს“.

მეუფე დიმიტრი კაპანაძე დაბადებული და გაზრდილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორითში. მეუფედ კურთხევამდე ის ჭულეს მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის დადგინებით, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსად დიმიტრი კაპანაძე 2013 წლის ოქტომბერში აკურთხეს.

მეუფე დიმიტრის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებიც დახვდნენ. მათ მეუფეს თანადგომა გამოუცხადეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.

კმაყოფილი იყო მრევლიც. ისინი ჩვენთან საუბრისას აცხადებდნენ, რომ მეუფის გაცნობით კმაყოფილები დარჩნენ და დადებითი შთაბეჭდილებები შეექმნათ. ეწყინათ მეუფის წასვლა, თუმცა მიაჩნიათ, რომ პატრიარქის ნება უნდა აღსრულდეს.

ჩემდა გასაკვირად მეუფე დიმიტრი იმაზე მეტად კომუნიკაბელური აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ინტერვიუზე პირველივე შეთავაზებისთანავე დამთანხმდა და დამპირდა, რომ სამომავლოდ აქტიურად ითანამშრომლებს ადგილობრივ მედიასთან. ამის დანაკლისს კი ჩვენ ყოველთვის განვიცდიდით.

მეუფე დიმიტრი კაპანაძე: „როდესაც დედოფლისწყარო ბოდბის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა, ორი წლის განმავლობაში ვმსახურობდი ბოდბეში, მღვდელმსახური ვიყავი და მაშინ მქონდა ბედნიერება, რომ ჩამოვსულიყავი დედოფლისწყაროში და ხშირად მიხდებოდა აქ ყოფნა. ასე რომ, ახალი, ან უცხო არაფერი არ ყოფილა ჩემთვის. სიმართლე გითხრათ, დღემდე ბევრი მეგობარი მყავს და ეს მახარებს. ის განსხვავებაა, რომ ამჟამად მღვდელმთავრის რანგში ვეწვიე დედოფლისწყაროს. ცხადია, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ეპარქიის მკვიდრი ადამიანების წინაშე. დღეს ძალიან დიდი სიხარული და მოლოდინი იყო. ალბათ ღვთის წყალობით, მრევლის და სამღვდელოების ერთად დგომით ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ“.

მეუფე დიმიტრის მასპინძლობას მეუფე მელქისედეკი უწევდა, რომელმაც წარდგინების შემდეგ ეპისკოპოსს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა დაათვალიერებინა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა. მოგვიანებით კი ელიას მთაზე მდებარე ტაძარი და ახლადაშენებული კელიები დაათვალიერებინა. როგორც საპატრიარქოს სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სკოლის დირექტორად კვლავაც მეუფე მელქისედეკი დარჩება, რადგან ის ა(ა)იპ-ის დამფუძნებელია და სკოლის ფუნქციონირებას ის წარმართავს.

ცვლილებაა ეპარქიის სახელწოდებაშიც. რამდენიმე თვის წინ ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქია გაიყო, რის გამოც ხორნაბუჯის ეპარქიად იწოდებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ ისტორიულ ჰერეთში ეპისკოპოსის კურთხევა ვერ მოხერხდა, მეუფე დიმიტრი კაპანაძე ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპისკოპოსად იწოდება.

საპატრიარქოში განმარტავენ, რომ ახლად შექმნილი კახისა და ქურმუხის ეპარქიისთვის, სინოდის მიერ დადგენილი ეპისკოპოსის კურთხევა დროებით შეჩერდა. წმინდა სინოდის მიერ ახლად დადგენილი მეოთხე ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი ეპისკოპოსად სვეტიცხოველში გასული წლის 29 ივნისს უნდა ეკურთხებინათ, თუმცა კურთხევის პროცესი შეჩერდა. ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ფაქტი არქიმანდრიტის შეხედულებებს უკავშირდება. 3 ივნისს გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე უცხოეთის ეპარქიებისთვის ოთხი ახალი მღვდელმთავარი შეირჩა. მათგან სამი, გერმანია-ავსტრიის ეპარქიისთვის არქიმანდრიტი ლაზარე სამადბეგიშვილი ეპისკოპოსად სვეტიცხოველში 11 ივნისს ეკურთხა; არქიმანდრიტი დოსიფე ბოგვერაძე ჰოლანდია-ბელგიის ეპისკოპოსად — 15 ივნისს, არქიმანდრიტი საბა ინწკირველი ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსად — 22 ივნისს. ასევე, სინოდის განჩინებით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას გამოეყოს ჰერეთის სამრევლოები და შეიქმნა ხორნაბუჯისა და კახისა და ქურმუხის ეპარქიები. კახისა და ქურმუხის ეპარქიაში კი წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი დაადგინა.

ილია მარტყოფლიშვილი





საშობაო ეპისტოლე 2015

გვ.3

„შარლი ებდოს“ ტრაგედია

გვ.2-6

საშობაო საჩუქარი ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვებს

გვ.4

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

„შარლი ებდოს“ ტრაგედია

2015 წლის 7 იანვარს ფრანგულ ყოველკვირეულ სატირულ ჟურნალს „შარლი ებდოს“ თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები, რომლებმაც 12 ადამიანი იმსხვერპლეს, მათ შორის 5 კარიკატურისტი. შეიარაღებული პირები გაჰყვიროდნენ „ალაჰუ აკბარ“, ანუ „ღმერთი დიდია“, რაც პირდაპირ მიანიშნებს კავშირს „შარლი ებდოს“ მიერ გამოქვეყნებულ მუჰამედის კარიკატურებსა და მომხდარს შორის. გამოცემის მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე, იგივე „შარბი“ იქამდე უკვე შეტანილი იყო „ალ-ყაიდის“ მთავარი სამიზნეების სიაში და მას სპეციალურად მიჩენილი პოლიციელი იცავდა. ტერაქტამდე შარბი წერდა, რომ მისთვის სულერთია, მოკლავენ თუ არა და ურჩევნია მოკვდეს ფეხზე მდგომი, ვიდრე დაჩოქილი. თავდასხმა არც დანარჩენი ოთხი სატირიკოსისთვის - კაბიუსთვის, ვოლინსკისთვის, ონორესთვის და ტინიუსთვის - ყოფილა მოულოდნელი.

„შარლი ებდო“ საფრანგეთში ცნობილია თავისი სკანდალური კარიკატურებით და სრული უპატივცემულობით ისტებლიშმენტის მიმართ. ჟურნალი ქვეყანაში ორჯერ აიკრძალა, მეორედ მაშინ, როდესაც 1970 წელს ცნობილი ნაციონალისტი პრეზიდენტის, მეორე მსოფლიო ომის გმირის, შარლ დე გოლის სიკვდილზე იქილიკა. ამის მიუხედავად, 90-იანი წლებიდან „შარლი ებდო“ რეგულარულად გამოდიოდა. მისმა კარიკატურისტებმა 1996 წელს ცნობილი ფრანგული ულტრამემარჯვენე პარტიის „ნაციონალურ ფრონტის“ აკრძალვა მოითხოვეს და ამისთვის 170 000 ხელმონერა შეაგროვეს. ჟურნალი აგრძელებდა პოლიტიკოსების, რელიგიების, ბანკირების ულმობელ და უკომპრომისო კრიტიკას. თავიანთი იმიჯიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ისინი ადრე თუ გვიან შეეჩეხებოდნენ ფრანგული საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას: დამოკიდებულებას ისლამთან და, განსაკუთრებით, მის ყველაზე რადიკალურ ფორმებთან.

მტკივნეული თემა ეს ფრანგებისთვის რამდენიმე მიზეზით არის. ბევრი პროგრესული ფრანგისთვის მუსლიმი იმიგრანტების მიღება და ინტეგრაცია ერთგვარი ხარკია, რომელსაც საფრანგეთი იმპერიალისტური წარსულისთვის იხდის. წარსულში საფრანგეთის კოლონიები იყო ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმური ქვეყნები: მაროკო, ალჟირი და ტუნისი. ამ და სხვა მუსლიმური ქვეყნებიდან წამოსული იმიგრანტები ძირითადად სიღარიბეში, პარიზის და საფრანგეთის სხვა ქალაქების გაღატაკებულ, გარესამყაროსგან იზოლირებულ გეტოებში ცხოვრობენ. უმუშევრობის მაღალი დონე და იზოლაცია ბევრ მათგანს კრიმინალისკენ უბიძგებს. ისლამის ნებისმიერი ფორმით კრიტიკა პარალელურად ამ ადამიანებზე შეტევად განიხილება და, ზოგიერთის აზრით, მათ რადიკალიზაციას გამოიწვევს. კიდევ ერთი მიზეზი რატომაც ისლამის კრიტიკა მტკივნეული თემაა, ისაა, რომ ზემოხსენებული ულტრამემარჯვენე პარტიის, „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი დღეს უკვე არნახული პოპულარობით სარგებლობს. 2014 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული გამოკითხვის მიხედვით, ლე პენს საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში დღეს რომ ჩატარდეს, მას გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს. ლე პენი ყველა არალეგალი ემიგრანტის დეპორტაციას, ხოლო ლეგალური ემიგრანტების მიღების დროებით შეჩერებას ითხოვს. იგი ამაზე გაცილებით შორსაც მიდის და მოქალაქეობის ჩამორთმევასაც უჭერს მხარს იმ უცხოელებისთვის, რომლებიც საფრანგეთში სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულს ჩაიდენენ. ერთი სიტყვით, მისი ზოგიერთი შეხედულება ახლოს არის რასიზმთან და ეს კიდევ დამატებითი მიზეზია სინდისის ქენჯნისთვის ბევრი ფრანგისთვის, რომლებიც მის არჩევას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ასეთ პოლიტიკურ კლიმატში „შარლი ებდოს“ ინციდენტმა ბუნებრივად გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი კომენტატორი ისე შორსაც წავიდა, რომ ფრანგული გამოცემის კარიკატურებს რასისტული უწოდა. მაგალითად, ბრიტანეთის მუსლიმური საჯარო საქმეების კომიტეტის დამფუძნებელი ასლარ ბუხარი წერს, რომ „მუსლიმები საფრანგეთში არის დემონიზებული ქვეკლასი. ადამიანები, რომლებსაც შეურაცხყოფენ და თავს ესხმიან ძალაუფლების სტრუქტურები; ღარიბი ხალხი, რომლებსაც არანაირი ძალაუფლებრივი ბერკეტი არ გააჩნიათ და ამ საზიზღარმა კარიკატურებმა მათი ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესა. რასისტული სტერეოტიპები მათ შესახებ კიდევ უფრო გამყარდა.“ ამგვარ დამოკიდებულებას იზიარებენ სხვა ადამიანებიც, მათ შორის არამუსლიმები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ისლამის ნებისმიერი სახის კრიტიკა ღარიბ მუსლიმ იმიგრანტებზე განხორციელებული კულტურული ძალადობის ტოლფასია. ზოგიერთმა ლიბერალმა (მემარცხენემ) ამერიკაში და სხვადასხვა ჯგუფის სოციალისტმა ევროპაში, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში რელიგიურ ფუნდამენტალისტებს ებრძვიან, ამ შემთხვევაში რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, პირიქით, ხელი დააფარეს. მიზეზი, რატომაც ისინი ასე იქცევიან, ნაწილობრივ ის სინდისის ქენჯნაა, რასაც დასავლური იმპერიალიზმისა და სოციალური უთანასწორობის გამო გრძნობენ.

ისლამის კრიტიკოსების წინააღმდეგ ამგვარი არგუმენტებით გალაშქრება ახლადშექმნილი ფენომენი არ არის. ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-იან წლებში, ცნობილი ინდოელი მწერლის, სალმან რუშდის რომანის, „სატანური ლექსების“ გამოქვეყნებას მოჰყვა ირანის მაშინდელი უზენაესი ლიდერის, აიათოლა რუჰოლა ხომეინის მიერ გამოცემული ფატვა, რომელშიც ხომეინი მწერლის ფიზიკურ განადგურებას ითხოვდა. დასავლელ პოლიტიკოსებს ამაზე არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ. ზოგიერთმა მათგანმა (იდეოლოგიური შეხედულებებისგან განურჩევლად) ხომეინის საქციელზე მეტად თავად რუშდის რომანი დაგმო. ხომეინი ცდილობდა, რომ თავისი გავლენა ირანში და მის საზღვრებს გარეთ - მუსლიმურ და არამუსლიმურ სამყაროში - სწორედ ამ გზით, საყოველთაო შიშისა და ტერორის დათესვით განემტკიცებინა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ მან თავის მიზანს მიაღწია - სალმან რუშდი მრავალი წლის მანძილზე საზოგადოებისგან იმალებოდა, მისი რომანის რამდენიმე მთარგმნელი კი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამ ინციდენტის შემდეგ ვეღარავინ ბედავდა საჯაროდ ისლამისთვის მტკივნეულ თემებზე ხმის ამოღებას. დანიურმა გამოცემა ჟყლლანდს-ჯოსტენ-მა როდესაც 2005 წელს მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა, ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დაგმო ისევ თავად გამოცემა, რომელმაც, მათი აზრით, უგულებელყო დასავლური იმპერიალიზმისა და სოციალური უთანასწორობის ისტორია და შეურაცხყოფა მიაყენა მუსლიმთა რელიგიურ გრძნობებს.

კარიკატურისტებისა და სატირიკოსების კრიტიკოსთა არგუმენტები რომ არ იცვლება, ეს მხოლოდ სინდისის ქენჯნით განპირობებული არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი შიშიცაა - ის შიში და ტერორი, რომელიც მთელი ისლამური სამყაროს სახელით მოლაპარაკე რადიკალმა მუსლიმმა კლერიკალებმა დანერგეს. რადიკალების ისე წარმოდგენა, თითქოს ისინი დასავლეთისგან მთლიანად დაუცველები არიან, რეალობას არ შეესაბამება. ისლამურ ფუნდამენტალიზმს კვებავს მილიონები, რომლებიც საუდის არაბეთის შეიხების, შიიტი აიათოლების და დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ფონდებიდან მოედინება. აგრესიაც, რომელიც ამ ჯგუფებს ახასიათებთ, მხოლოდ დასავლეთისკენ მიმართული არ არის. ერაყის სამოქალაქო ომის დროს შიიტ და სუნიტ ექსტრემისტებს შორის დაპირისპირებას არანაკლებ სისხლიანი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რადიკალი ისლამისტების მიერ დასავლეთში მოწყობილ ტერაქტებს. ზემოხსენებული „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელწიფო“, დასავლურ მედიაში ცნობილი თავისი ინგლისური აბრევიატურით ISIS, სასტიკად უსწორდება ტყვეებს და სამოქალაქო პირებს. „ისლამური სახელმწიფო“ მონაწილეობს უპრეცედენტო მასშტაბის ეთნოწმენდაში და შიშისა და ტერორის ქვეშ ამყოფებს თავის კონტროლქვეშ მყოფ მუსლიმ მოსახლეობას. წინასწარი ცნობებით, „შარლი ებდოს“ წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ეჭვმიტანილი ორი პირი დიდი ხანია, რაც ტერორისტულ საქმიანობაში იყო ჩაბმული და საყოველთაოდ ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის, „ალ-ქაიდის“ ქსელის წევრი იყო.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც მუდმივად თავს არიდებენ მოძალადეების დადანაშაულებას და ამის საპირისპიროდ, მათ ვიქტიმიზაციას ახდენენ, არის თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევა მთლიანად იხსნება სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით. სოციალური გარემო უდავოდ დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, მაგრამ იმ კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რომელშიც ადამიანი ყალიბდება, ინდივიდუალური ქცევის ახსნა შეუძლებელია. რადიკალური ისლამის კრიტიკის გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება სოციალური ჩაგვრის შეჩერება და საბოლოო ჯამში იმაზე მძიმე ფორმის ექსპლუატაციას მივიღებთ, ვიდრე თანამედროვე სეკულარულ და დემოკრატიულ სამყაროში არსებობს. ისლამისტი რადიკალების წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო კრიტიკა პირველ რიგში თავად ისლამის შიგნით უნდა გაჩნდეს. „შარლი ებდოზე“ განხორციელებული შეტევა ბევრმა ზომიერმა მუსლიმმა დაგმო, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალმა მათი რელიგიური გრძნობები შეურაცხყო. თუ სალმან რუშდის წინააღმდეგ გამოცემული ფატვა გავლენიან მუსლიმთა შორის თითქმის არავის გაუპროტესტებია (პირიქით, სუნიტური საუდის არაბეთი და შიიტური ირანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო უკომპრომისოდ დაიცავდა ისლამს), დღეს სიტუაცია აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა. სუნიტური სამყაროს ყველაზე გავლენიანმა სასწავლო ცენტრმა, ალ-აჟარმა მომხდარი ერთმნიშვნელოვნად დაგმო. ალ-აჟარის წარმომადგენელმა აბას შომანმა განაცხადა, რომ ინსტიტუტი „არ უჭერს მხარს ძალადობის გამოყენებას, მაშინაც კი, როდესაც საქმე მუსლიმების წმინდა გრძნობების შეურაცხყოფას ეხება.“ „შარლი ებდოს“ წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი ასევე დაგმო „არაბულმა ლიგამ“ - 22 არაბული სახელმწიფოსგან შემდგარმა რეგიონულმა ორგანიზაციამ.

ყველაზე კარგად ხელოვანები და იუმორისტები გრძნობენ იმას, რომ სოციალური ემანსიპაციისთვის კულტურული პრაქტიკების და, მათ შორის, რელიგიის კრიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ხელოვანები პოლიტიკოსებისგან განსხვავებით უფრო მეტად მიდრეკილები არიან ამგვარი აზროვნებისკენ და, შესაბამისად, მთავარი დარტყმაც ახლა სწორედ მათზე მოდის. ამავე დროს, პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიაში სიტყვის თავისუფლების და სინდისის თავისუფლების დაცვის დასაბუთებული არგუმენტების ნაკლებობა არ არის. განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი ტექსტი - ჰეგელის „სამართლის ფილოსოფია“ და ისაია ბერლინის „თავისუფლების ორი გაგება“. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, რომელიც ლიბერალური ნეგატიური თავისუფლებების (მათ შორის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების) ერთ-ერთი ყველაზე ულმობელი კრიტიკოსი იყო, ამავე დროს მიიჩნევდა, რომ საკუთარი თავის, როგორც ინდივიდის კოლექტივიდან გამოყოფის/აბსტრაჰირების გარეშე შეუძლებელია რეალური თავისუფლების მიღწევა. რეალური თავისუფლება ჰეგელს ესმოდა, როგორც ლიბერალური ნეგატიური თავისუფლების ერთგვარი კრიტიკა. იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვის თავისუფლება გულისხმობს გარკვეული დონეზით უპასუხისმგებლობასაც (პასუხს არ აგებ იმაზე, რაც მოჰყვება შენს ნათქვამს), იგი თავისუფლების სრულყოფილი ფორმა არ არის და მას რეალური თავისუფლებით შევსება ესაჭიროება. ამავე დროს, ჰეგელის აზრით, ვერც რეალური თავისუფლება იარსებებს ლიბერალური თავისუფლების გარეშე (სწორედ ამიტომ ჰეგელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საფრანგეთის რევოლუციას). ამ ლიბერალური უპასუხისმგებლობის გარეშე პიროვნების, როგორც თავისუფალი ინდივიდის ფორმირება ვერ მოხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ფორმალურად თავისუფალი არ ხარ, კოლექტიური პასუხისმგებლობა ვერ გექნება. ის, რასაც ავტორიტარული პოლიტიკური იდეოლოგიების და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები ერთმანეთის მიმართ განიცდიან, არა სოლიდარობა, არამედ შიშით და ტერორით განპირობებული მოვალეობაა, რომელსაც სოლიდარობის ნამდვილ იდეალთან კავშირი არ აქვს.

ჰეგელის მსგავსად, ისაია ბერლინი მიიჩნევდა, რომ ნეგატიური ლიბერალური თავისუფლების გარეშე ადამიანი არ შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს. ამას მოწმობს ისიც, რომ დასავლეთში ლიბერალური დემოკრატიის სოციალისტური კრიტიკა სწორედ მაშინ გაჩნდა, როდესაც ლიბერალური თავისუფლებების საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო. ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგი თომას ჰამფრი მარშალი წერდა, რომ დასავლეთში ხალხმა ჯერ მოითხოვა სამოქალაქო, შემდეგ პოლიტიკური და სულ ბოლოს - სოციალური უფლებები. ამგვარი თანმიმდევრობის ლოგიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სოციალური უფლებები სხვებზე ნაკლებად მნიშვნელოვანია (თვითონ მარშალი, ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატი იყო), არამედ საქმე უფრო იმაშია, რომ საკუთარი თავის, როგორც ცალკე მდგომი ინდივიდის გააზრების გარეშე ადამიანებს უჭირთ სოციალური სოლიდარობის და კოლექტიური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც განმანათლებლობის ტრადიცია არ აქვთ, ძლიერი მემარცხენე მოძრაობები ფაქტობრივად არ არსებობს, ან თუ არსებობს, მათი მოღვაწეობა ავტორიტარული რეჟიმებით გვირგვინდება (საბჭოთა კავშირი, კამბოჯა, ჩრდილოეთი კორეა, ჩინეთი).

ეს ყველაფერი, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სოციალურ და სტრუქტურულ ფაქტორებს ხაზი უნდა გადავუსვათ. ლე პენის პოპულარობა საფრანგეთში იმას მოწმობს, რომ დასავლურ საზოგადოებებში ქსენოფობია ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა. სოციალური უთანასწორობა და „გეტოიზაცია“ კი იმაზე მიუთითებს, რომ საფრანგეთს სოციალური პრობლემები უხვად აქვს. ამის მიუხედავად, რადიკალურ ისლამზე პასუხი მაინც არ შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ფაქტორებით იდეოლოგიური, მათ შორის, რელიგიური ფაქტორების გადაფარვა. აღნიშნული ეხებათ ქართველ ინტელექტუალებსაც, რომელთა ნაწილი სამწუხაროდ მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში სოციალური პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის უფლებები ან გენდერული თანასწორობა. ჩვენ, უფრო მეტად, ვიდრე სხვებს, კარგად მოგვეხსენება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებებზე მაღლა სოციალური თანასწორობის დაყენებას. „შარლი ებდოზე“ განხორციელებულმა ტერაქტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის, თუ რამდენად მყიფეა თავისუფლების მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში და რამდენად სჭირდება მის შენარჩუნებას საზოგადოებრივი მხარდაჭერა. თავისუფლების გარეშე შეუძლებელი და ამაოა ყველა სხვა პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა.

პარიზში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება გამოითქვა, როგორც ევროპაში, ასევე საქართველოშიც, მათ შორის ბევრი ურთიერთგამომრიცხავიც. თუმცა, ერთ რამეში ყველა თანხმდება- ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა დაუშვებელია!

ირმა შიოლაშვილი, გერმანიაში მოღვაწე ჟურნალისტი, პოეტი: „გერმანიაც ისევე გამოეხმაურა პარიზში დატრიალებულ ტრაგედიას, როგორც ევროპა. ყველა თანხმდება, რომ ადამიანის უფლებები დარღვეული არ უნდა იყოს და მით უმეტეს, ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია. თუმცა, გაზეთებში ისიც დაინერა, რომ რელიგიურ თემებთან დაკავშირებით მეტი სიფრთხილეა საჭირო, მათ შორის ჟურნალისტების მხრიდანაც. რაც შეეხება ჩემს პირად მოსაზრებას, მიმაჩნია, რომ ჟურნალისტური ეთიკის დაცვა ყველა პროფესიონალი ჟურნალისტის ვალია. თუნდაც კარიკატურისტმა, ზომიერებას არ უნდა ულალატოს, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლება არავის აქვს.

კულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი:

- ქალბატონო ლელა, პოპულარულ ფრანგულ სატირულ ჟურნალ ჩარლიე ებდო-ზე განხორციელებულმა თავდასხმამ ევროპა შეძრა. მომხდარს მთელი ცივილიზებული სამყარო გმობს, მაგრამ ინტერნეტში ნაკლებად თუ შეხვდებით მომხდარის მიზეზებზე სიღრმისეულ ანალიზს. თქვენი შეფასება როგორი იქნებოდა? მომხდარი რა უფროა - სიტყვისა და აზრის გამოხატვის პრობლემა, ფუნდამენტური ისლამისადმი აგდებული დამოკიდებულება, რედაქციის თანამშრომლების მხრიდან პროვიკაცია, თუ აშკარად რელიგიური დაპირისპირების ნიშნების მქონე პროცესი, რომელსაც ევროპაში აქამდე მხოლოდ ლატენტური ფორმები ჰქონდა?

- პირველ რიგში, მინდა თანავუგრძნო ფრანგ ხალხს და ჩვენი პლანეტის იმ ადამიანებს, ვინც შეძრა მომხდარმა. როგორი ფორმულირებაც არ უნდა მივცეთ, გნებავთ, სიტყვისა და აზრის გამოხატვის პრობლემა დავარქვათ, გნებავთ ფუნდამენტალისტური ისლამისადმი აგდებული დამოკიდებულება, რედაქციის თანამშრომლების მხრიდან პროვოკაცია, თუ კიდევ უფრო ფარული და მძიმე - რელიგიური დაპირისპირების ნიშნების მქონე პროცესი, ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანების სასტიკ, განზრახულ, წინასწარ დაგეგმილ მკვლელობასთან, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია. მას კი არავითარი კავშირი არა აქვს ძველი აღთქმის საფუძველზე აღმოცენებულ არც ერთ რელიგიურ იდეოლოგიასთანაც კი, არა თუ რელიგიასთან.

ვფიქრობ, სრულიად სხვა თემაა იმ მიზეზების ძიება, რომელიც ტერორიზმს წარმოშობს და, რომლის გამოც შესაძლოა, ამა თუ იმ რადიკალური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა უმუალო ახლობლებიც კი გახდნენ მსხვერპლნი. ამიტომ, კიდევ უფრო დიდი სიფრთხილე გვმართებს მამინაც, როცა ასეთი ტიპის თემების განხილვას ვიწყებთ მედიაში, რამდენადაც მას უკვე ინფორმაციული ომის რეზონირებადი ეფექტი აქვს.

ტერორიზმი გლობალიზაციის თანამედროვე მითის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე რეალობაა, მით უფრო, რომ თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ვირტუალური და საეთერო სივრცე სიამოვნებით "იკვებება" ამ სისხლიანი ამბებით. ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ, როგორ სტრუქტურირდება ტერორიზმის შედეგების შემზარავი სურათებით მთელი დედამიწის მოსახლეობა, ჩვენს თვალწინ როგორ "ხორციელდება" უახლესი "ინფორმაციული კულტურის" მითი, სადაც ღირებულებითი, კულტურათა თუ ცივილიზაციური შეჯახების თემა ძალაუფლების სრულიად ახალმა დისკურსმა - სისხლიანი ძალადობით (რომელიც არც ბრძოლაა და არც ომი, ამ უკანასკნელ ორს თავისი წესები აქვს) საინფორმაციო ძალაუფლების მოპოვების სრულიად მიზანმიმართულმა ფორმებმა შეცვალა.

დღეს მკვლელობაზე მიმართული იარაღი მხოლოდ მაშინ გახლავთ "რეზონირებადი", როცა საინფორმაციო ძალაუფლებაც შენია. რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ტერორისტები და მათი პოლიტიკური თუ ფინანსური ლობისტები საინფორმაციო სივრცის ძალმოსილებასა და მის ფლობაზე აკეთებენ გათვლას.

შესაძლოა, ზედმეტად კატეგორიული ვარ, მაგრამ ჩვენ, რიგითი ადამიანები ისე შევეჩვიეთ ინფორმაციის საეთერო ვერსიას, ისე ვცხოვრობთ ფსევდომითოსურად

(გაგრძელება გვ. 6)

საშობაო ეპისტოლე 2015

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო... ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

,,მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა 'სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვისსა" (ლკ.I,67). და დაემკვიდრა ჩუენ შორის" (ინ.I,14).

დამთავრდა ძველი აღთქმის ჟამი და აღსრულდა წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები: ბეთლემის გამოქვაბულში ხორცშესხმული მოგვევლინა საუკუნეთა უწინარესი ღმერთი,- ყრმა იესო.

ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობს ღვთისმშობელი, რადგან დღეს ნეტარების საუფლოდან განდევნილი ადამის მოდგმა განღმრთობას იწყებს და ჩვენი დაცემული ბუნება სამეუფო ღირსებით იმოსება.

წმიდა ქალწულმა მარიამმა, 'ძველის თანანადების გამომსყიდველმან და მთელი ქმნილებისათვის ცხონების მშობელმან, გახსნა პირველ ევას მიერ შეკრული კვანძი და სამყაროს მარადიული სიცოცხლის სათავედ და ახალ დედად მოევლინა" (წმ. ირინეოს ლიონელი). სწორედ მისი სახით დაიწყო ქრისტიანული ერა რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ადამიანი.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობამაც: 'ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, — არამედ ქმარი; არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი — არამედ ცოლი" (I კორინთ.7.4), – გვასწავლის მოციქული და დასძენს:

'ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი-თჳსთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თჳსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს" (ეფ. 5.24-25).

ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული ნინამძღოლი და მასაზრდოებელი;

ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარს იწერს, ისინი მღვდელთან ერთად სამჯერ გარშემო უვლიან ანალოღიას, რომელზეც სახარებაა დაბრძანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მთელი ცხოვრება ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირონ.

ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური "მეს"-გან სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს. ისინი სიყვარულით ერთიანდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის და მეუღლეობის საკვრელით დაკავშირებულნი წარდგნენ ყოველთა მეუფის წინაშე.

დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით, მაგრამ მთავარია ამ მადლის შენარჩუნება და გამრავლება.

როდესაც ადამიანი შეყვარებულია, იგი მისთვის სასურველ პიროვნებაში ხედავს ისეთ თვისებებს, რასაც შესაძლოა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ამ დროს ხდება მეორე ადამიანში დაფარული შინაგანი მშვენიერების აღმოჩენა.

'რა კარგი უნდა იყოს ერთი იმედით, მსახურებითა და რწმენით ორი გულის შეერთება, — წერს ტერტულიანე. ჭეშმარიტად, ისინი ორნი არიან ერთ სხეულად განმთლიანებულნი, ხოლო სადაც ერთი სხეულია, იქ ერთსულოვნებაა. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს ამხნევებენ. თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე. თანაბრად ინაწილებენ დევნასა და ნუგეშს, არაფერს უმალავენ და არც ამძიმებენ ერთმანეთს..., ხედავს რა მათ ერთობას, უფალი ხარობს, სახლს მშვიდობას მოჰფენს და მკვიდრობს მათთან ერთად".

ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება და მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს; ადამიანი კიდევ უფრო მეტად ემიჯნება ეგოისტურ ,,მეს" და კიდევ უფრო მეტად ფართოვდება მსახურების არეალი, რაც ღვთის სათნო ცხოვრებას განამტკიცებს.

როგორი სიფაქიზით გვწრთვნის უფალი! როგორ ნელ-ნელა და თანდათანობით ავყვართ მას უმაღლესი სიყვარულის საფეხურებზე, ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჩვენი დაცემული მდგომარეობისაგან გვიხსნას და მარადიული ნეტარებისთვის მოგვამზადოს.

ასეთი ოჯახი, ასეთი ერთობა ქალისა და კაცისა, სიმბოლურად 'მცირე ეკლესიად" იწოდება, რომლის სიმტკიცეც დაურღვეველია.

თუმცა ფაქტია, რომ ჩვენს ყოფაში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ოჯახები სადაც უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები; ისინი მოკლებულნი არიან ღვთის მადლს და უსიხარულოდ ცხოვრობენ ან, საერთოდაც, ირღვევიან;

უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ბევრი ადამიანის ცხოვრების წესი ოჯახური სიწმინდის წინააღმდეგ არის მიმართული. ბოლო პერიოდში კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რაც ქორწინებისთვის ახალგაზრდების მოუმზადებლობით არის განპირობებული.

განვიხილოთ რამდენიმე გარემოება:

1. ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პიროგებშიც ვერ აღწევენ იმ სიყვარულს, იმ ერთგულებასა და თავგანწირვას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი, ამიტომაც მალევე კარგავენ ერთმანეთისადმი ინტერესს და სცილდებიან.

2. ახლადშეუღლებულნი, მართალია, სიყვარულით ქმნიან ოჯახს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რას ნიშნავს მეუღლეობა, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ და რას მოითხოვს იგი თითოეული მათგანისგან; ისინი ადვილად კარგავენ იმ განწყობას, რაც ერთად მყოფობის პირველ პერიოდში ჰქონდათ; იწყება იმედგაცრუება, ერთმანეთში მრავალი ნაკლოვანების აღმოჩენა და დაუთმენლობა. გაღიზიანება იმ მდგომარეობამდეც მიდის, რომ ერთ დროს სანუკვარი ადამიანი, უკვე აუტანელი ხდება.

3. მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებასა და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია.

საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩინა. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის.

4. ხდება ისეც, რომ მშობლები ზოგჯერ უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში. მათ უჭირთ შვილთან ერთგვარი განშორება და ძველებური ურთიერთობის შეცვლა; ისინი კრიტიკულად აღიქვამენ ახალ ვითარებას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხელის შემწყობნი ხდებიან ოჯახის დანგრევისა.

რა თქმა უნდა, მშობლების პატივისცემა და სიყვარული ბუნებრივიც არის და სავალდებულოც ყველასთვის; ასევე ბუნებრივია ახლობლების, მეგობრების, ნათესავების..... სიყვარული, მაგრამ ცოლ-ქმრულ ყოფა სრულიად განსხვავებულია; ამისთვის ბრძანებს წმინდა წერილი: ,,მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას შეუერთდება თავის ცოლს, რათა იყვნენ ორნივე ერთ ხორც" (ეფ. 5.31). ეს საიდუმლო დიდია და მისი დარღვევა — აკრძალული.

5. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ირღვევა ოჯახი არის ნარკომანია (ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ზედმეტად გამოყენება) და პორნოტი ძალების გავლენით ადამიანებზე ზემოქმედება. ორივე მდგომარეობაში პიროვნებას წართმეული აქვს თავისუფალი ნება, ოღონდ პირველ შემთხვევაში, ადამიანი ვერ უძლებს საცდურს და მასზე მიჯაჭვულობის გამო, ფაქტიურად, ნებაყოფლობით ამბობს უარს თავისუფალ ნებაზე, მეორე შემთხვევაში კი, გაუცნობიერებლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

არადა თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძვარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა.

ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელიდება და მათგან განთავისუფლება მხოლოდ ლოცვით, მარხვით და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესთვის (ფილ. 2,4).

სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება, — ჩვეულებად, გულგრილობა, — წესად, უზნეობა და თავაშვებულობა, – მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა, — ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.

აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა, კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება.

მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ოჯახში სხვა სახის ძალადობის აღმოფხვრასაც და ცხოვრების, ასე თუ ისე, ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

ვფიქრობთ, ეს სერიოზულ გავლენას იქონიებს თვითმკვლელთა რიცხვის შემცირებაზეც. ადამიანები, განსაკუთრებით ურწმუნონი, თუნდაც, რომ ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ, კრიტიკულ სიტუაციებში უსუსურნი ხდებიან, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან და რესურსი სიმტკიცისა მალე ეწურებათ.

ავადმყოფობით, უსახსრობით, უბინაობით,... ვალებით ..... გამწარებულებს ჰგონიათ, რომ თავის მოკვლით პრობლემებისგან განთავისუფლდებიან; სინამდვილეში კი ამ ქმედებით ისინი მარადიული ტანჯვისა და სიკვდილის იმ კარს აღებენ, სადაც მათ ველარავინ უშველის (გამონაკლისს, სულით ავადმყოფები წარმოადგენენ).

ჩვენთვის ბოძებული მიწიერი ცხოვრებით უფალმა შესაძლებლობა მოგვცა მარადიულ ნეტარებაში დავმკვიდრდეთ. ვინც ამ მემოთავაზებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი ხდება და თავისი ნებით ჯოჯოხეთის სკნელში აღმოჩნდება. ეს იმდენად დიდი დანაშაულია, რომ მათთვის ლოცვაც აკრძალულია.

ღმერთმა ყველა დაიფაროს თვითმკვლელობისგან!

გასულ წელს მსჯელობის საგანი იყო ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა; თუმცა, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ.

საერთოდაც, ყველა უნდა ვეცადოთ, სიტყვით მაინც დავეხმაროთ ერთმანეთს, მივცეთ იმედი მრავალი პრობლემით დამძიმებულ ჩვენს შვილებს, დებსა და ძმებს და ხსნის რაიმე გზა შევთავაზოთ.

ამდენი ტანჯვისა და ტკივილის, თავსმოხვეული ,,ახალი აზროვნებისა" და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგას ზნეობის სადარაჯოზე; ეს სასწაულია, რაც, პირველ რიგში, ქართველი ქალის, — დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.

წმინდა ილია მართალი წერს:

,,ქართველებისთვის ,,დედა" მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც ,,დედა-ენას" ეძახის, უფროს ქალაქს, -,,დედა-ქალაქს," — მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას, — ,,დედა-ბოძს," უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს, ,,დედა-ბურჯს, სამთავრო აზრს, — ,,დედა-აზრს," გუთნის განმგებელი მამაკაცს კი — ,,გუთნის-დედას".

რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა! "

ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი გახდა. ღვთის საიდუმლო განგებულებით, კვართი უფლისა საქართველოში ჩამობრძანდა და მცხეთაში დაიფლა. მისი აქ დაკრძალვა არ ნიშნავს მხოლოდ ამ ლოკალური ადგილის მონიშვნას; სასწაულთმომქმედი უკერველი კვართი მაცხოვრისა მთელმა საქართველომ შეიმოსა, ხოლო ყოვლადწმინდა მარიამს, ამავე საიდუმლო განგებულებით, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მფარველობა დაევალა.

ჩვენი მეოხია იგი, რომელიც დამხსნელია ადამის წყევისა, აღმასრულებელი ევას თანანადებისა, წმინდა შესაწირია აბელისა, სამკაულია სეითისა, სათნოყოფაა ენუქისა, კიდობანია პირმეტყველი ნოესი, დიდებაა მელქისედეკის მეფობისა და მღვდელობისა, რომელიც სიმტკიცეა აბრაამის სარწმუნოებისა, ზეცად მიწევნული კიბეა იაკობისი, ღვთივწერილი წიგნია მოსესი, კვერთხია იგი განედლებული და აღყვავებული აარონისი, ძლევაი ისუ ნავესი, გზაა მშვენიერი ელიას ამაღლებისა, მრჩობლი კურთხევაა ელისეს ხალენისა, წინასწარმეტყველთა ქადაგებაა და სიტყვათა მათთა აღსრულება.

აი, ამ საოცარი ქალწულის მიერ ჩვენს განსანათლებლად და გადასარჩენად წარმოგზავნილი ანდრია მოციქულის, წმინდა ნინოსა და სხვა წმინდანთა მადლით საქართველომ, ხალხის დიდი მსხვერპლშეწირვისა და ძალისხმევის ფასად, საუკუნეთა მანძილზე გაუძლო ყოველი მხრიდან შემოსეულ მომხდურს; დღეს კი კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ყველამ, – ერმაც და ბერმაც, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, საკუთარი ოჯახიცა და თავიც, პირველ რიგში, ჩვენი ცხოვრება უნდა გამოვასწოროთ; ჩვენში და ჩვენს შორის დაბუდებული ცოდვა და მისი შედეგი, – სიკვდილი უნდა დავძლიოთ და სიკეთისა და სიცოცხლის გამარჯვება ვიზეიმოთ.

მაცხოვრის შობის ამ ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება." ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედაღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მონყალებისა კარი, რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი.

მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქმნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა, აღმოვსთქვათ: ემმანუელ, — ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთს ებარებოდეთ.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, შობა ქრისტესი,
2014-2015 წელი

საშობაო საჩუქარი ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვებს

სულ რაღაც ორიოდე წლის წინ, ასეთი შესაძლებლობების ბავშვებს არც სკოლაში იღებდნენ, არც საზოგადოება აღიქვამდა სრულფასოვან წევრებად და არც არასდროს არავის ახსენდებოდა მათი არსებობა. მანძილს ნორმალური განვითარების ადამიანსა და უნარშეზღუდულ ადამიანებს შორის ძალიან დიდი ზღუდე ჰყოფდა. ეს იყო ტკივილი, ტკივილი, რომელსაც, ძირითადად, ასეთი შესაძლებლობების ბავშვები და მათი მშობლები განიცდიდნენ. დღეს აშკარაა, რომ ამ მხრივ საზოგადოების თვითშეგნებამ და განვითარების დონემ ზედა ზღვარს მიაღწია. ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მონაპოვარია, რომ დღევანდელ რეალობაში ინკლუზიური განვითარების ბავშვებისადმი ზემოაღნიშნული სტიგმა თითქმის აღარ არსებობს. დღეს უნარშეზღუდულ ადამიანებს საზოგადოების ყველა ფენა პატივისცემით ეპყრობა და თანასწორად აღიქვამენ, უფრო მეტიც, მათ საჯარო სკოლაში მისვლის უფლებაც აქვთ და ნებისმიერი შეხვედრის მონაწილეც თავისუფლად შეიძლება იყვნენ.

დიახ, დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მონაპოვარი სწორედ ის მაღალი თვითშეგნება და კულტურაა, რასაც დემოკრატიული ღირებულებების ზედმიწევნით გათვალისწინებაა. დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა მოქალაქე თუ თანამდებობის პირი იმ მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს, რასაც სხვა მრავალი ნიუანსის გათვალისწინების გარდა, გამოხატვის თავისუფლება, უნარშეზღუდულთა გვერდში დგომა და სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობა ითვალისწინებს. საამაყოა, რომ ამ გამოწვევებს შეგნებულად ეკიდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ჩვენ სწორედ იქ ვდგვართ, სადაც ხალხსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთთანამშრომლობა შემდგარია. ჩვენი რაიონის ხელმძრვანელობამ ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვების მიმართ დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა.

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში, ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვებისთვის სპეციალური საკლასო ოთახები გამოიყო, სადაც ასეთი შესაძლებლობების ბავშვები ცოდნა-განათლებას იღებენ. მათი პედაგოგი ჟანა ბაბაიანი გახლავთ, რომელიც ცდილობს, აღსაზრდელებს თავი სრულფასოვან წევრებად აგრძნობინოს, ასწავლის წერას, კითხვას და საზოგადოებაში ქვცევის ელემენტარულ წესებს. ეს ყველაფერი, ცხადია, დადებითად აისახება ინკლუზიური განვითარების ბავშვების ხასიათსა და განწყობაზე. ისინი თავს ბედნიერად გრძნობენ, როდესაც ხედავენ, რომ მათზე ადამიანები ზრუნავენ. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს განათლების სამინისტროს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის, მათი კოორდინატორის თამარ ტუხაშვილის და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორის ნელი საბიაშვილის ინიციატივით, ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში საგანგებოდ ჩაუტარეს რესტავრირება ორ საკლასო ოთახს, სადაც ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვებს საკმაოდ თბილი და სასიამოვნო გარემო შეუქმნეს. გარდა კეთილმოწყობისა, ინკლუზიური შესაძლებლობების ბავშვთა საკლასო ოთახი აღიჭურვა კომპიუტერით, პრინტერით და ინვენტარით, თუმცა, ეს ყველაფერი არ გახლავთ. რამდენიმე დღის წინ შობა-ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით საჩუქარი გაუკეთეს ამ ბავშვებს სოფელ ხორნაბუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გია გოგილაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომლებმაც მიმდინარე წლის 4 იანვარს ზემოაღნიშნული მოსწავლეების თბილისის ზოოპარკში და ცირკში წასვლა უზრუნველყვეს.

ექსკურსიიდან უკანდაბრუნებული ბავშვები ემოციებს ვერ ფარავდნენ. როგორც გაირკვა, ბევრი მათგანი თავისი ცხოვრების მანძილზე ცირკში პირველად იყო, რაც დაუვიწყარ მოგონებათ დარჩება მათ მეხსიერებაში. ბავშვები, მათი მშობლები და თავად პედაგოგი ჟანა ბაბაიანი მადლობას უხდიან რაიონის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ხორნაბუჯის მაჟორიტარ დეპუტატს გია გოგილაშვილს, რესურსცენტრის თანამშრომლებს, სკოლის დირექტორს გაწეული სამსახურისთვის და იმედს გამოთქვამენ, რომ ამგავრი თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ლალი მეხრიშვილი



ჩატარდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით მთელს საქართველოში უკვე მე-6-ე წელია, ტარდება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა. აღნიშნულ ოლიმპიადებში წლებია, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ასეულობით მოსწავლე. 2014-2015 სასწავლო წლის სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური კვლავ გაიმართა საქართველოს მასშტაბით. ცხადია, აღნიშნულ ღონისძიებას არ ჩამორჩა ჩვენი რაიონიც. ოლიმპიადის მორიგი ტური მიმდინარე წლის 7-10 იანვარს N 1 საჯარო სკოლაში გაიმართა. ტრადიციულად წელსაც დედოფლისწყაროს რაიონის უამრავი მოსწავლე ღებულობდა მონაწილეობას . სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური სხვადასხვა ასაკობრივ ჭრილში წარიმართა, მასში მონაწილეობდნენ X, XI და XII კლასის მოსწავლეები. ოლიმპიადა შემდეგ საგნებში მიმდინარეობდა: მათემატიკა, რუსული ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია.

მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, მოსწავლეთა საკმაოდ მაღალი აქტიურობა დაფიქსირდა. სასწავლო ოლიმპიადაზე საერთო ჯამში მეორე ტურში გადასულ მოსწავლეთაგან გამოცხადდა მოსწავლეთა 80%-ი.

მოსწავლეები მოტივირებულები არიან, მიაღწიონ რაც შეიძლება მაღალ შედეგებს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მათ მესამე ტურში გადასვლის წინაპირობაზე. მესამე სასწავლო ოლიმპიადური ტური გაიმართება ქ. თბილისში, საბოლოოდ კი, გამარჯვებულებს განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული მრავალი პრიზი ელოდებათ.

ნიშანდობლივია, რომ სასწავლო ოლიმპიადა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XII კლასის მოსწავლეთათვის, ვინაიდან ეს მათთვის იქნება ეროვნული გამოცდების მზადებისათვის რეპეტიცია, ვინაიდან სასწავლო ოლიმპიადაც (ტესტირების პროცესი) მიმდინარეობს ანალოგიური მეთოდით.

დედოფლისწყაროში აგერ უკვე მე-6-ე წელია ოლიმპიადას უძღვება და მის მაღალ დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ზურაბ ლობჟანიძე.

-„2009 წლიდან თქვენს რაიონში ვუწევ ორგანიზებას სასკოლო ოლიმპიადას. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს სასწავლო ოლიმპიადებზე დამკვირვებლებად დასაქმებულები ჰყავს დედოფლისწყაროს რაიონის სხვადასხვა სკოლის პედაგოგები, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. მოგახსენებთ იმასაც, რომ უაღრესად კმაყოფილი ვარ და დიდ მადლობას მოვახსენებ დედოფლისწყაროს რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელებს და მათ თანამშრომლებს ყურადღებისათვის, N1 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ეთერ ოთარაშვილს სკოლაში სასწავლო ოლიმპიადის ნორმალური გარემოს შექმნისათვის. ასევე, სასწავლო ოლიმპიადის მიმდინარეობაზე დამკვირვებლებს, რაიონის სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს,- ეთერ ზურიკაშვილს, ჯულიეტა პოპიაშვილს, ნანული ნატროშვილს, მაია ლაპიაშვილს, მარიკა ჩაფიაშვილს, მაია ბეგიაშვილს, ლია ქადაგიძეს, მზია წყარუაშვილს, ია ლაპიაშვილს, ნინო ჯინაშვილს, ირმა გარსენიშვილს, ლელა ჯავაშვილს, ნონა ტოკლიკიშვილს, მარინე შანშიაშვილს, ეთერ ფიცხელაურს, ვიოლეტა დავთიანს, სვეტლანა ლომიძეს. აგრეთვე ნელს მონაწილე დამკვირვებლებს (ხათუნა პოპიაშვილს, ეკატერინე მელიქიშვილს, არჩილ ჩაფიაშვილს, ბელა სულაშვილს) რომელთა დიდი მონდომების, წესების ზედმიწევნით დაცვისა და თანადგომის გარეშე ვერ მოხერხდებოდა ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარება. წარმატებებს ვუსურვებ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ყველა მონაწილეს, რათა კიდევ ერთხელ ასახელონ თქვენი მშობლიური რაიონი.“-აღნიშნა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა ზურაბ ლობჟანიძემ.

ლალი მეხრიშვილი

როგორ ვიკვებოთ შაქრიანი დიაბეტის (ტიპი 2) დროს

ჩაიარა საახალწლო-საშობაო ჭამა-სმის ორკვირიანმა მარათონმა ჩვენს ქვეყანაში. ქონების და უქონლობის მიუხედავად, ეს დღეები დიდი უმრავლესობისთვის ჭარბი ჭამა-სმის პერიოდია და არა მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთათვის, არამედ ჯანმრთელთათვისაც კი გადატვირთულია და სერიოზულ კორექციას საჭიროებს. ამჯერად გამორჩეულად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს ვურჩევთ, გულდასმით წაიკითხონ წინამდებარე სტატია, რადგან ამ სადღესასწაულო დღეებში საცდუნებელი ბევრი იყო როგორც ტკბილეულის, ასევე მსუყე საჭმელისა და სასმელის სახით.

ახლა დროა, ჩავდგეთ კალაპოტში და ყურად ვიღოთ რჩევები, რომელსაც კვალიფიციური ექიმი-ენდოკრინოლოგი გვაძლევს. მაშ ასე, ვაგრძელებთ საუბრებს დიაბეტთან დაკავშირებით ექიმ მარინა მეხრიშვილთან. დღეს კვების რაციონს შევეხებით, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყეტი ფაქტორია ამ დაავადების დროს.

როგორც წინა საუბრებში უკვე აღვნიშნეთ, სიმსუქნე და მემკვიდრეობა შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ის დროს განვითარების ხელშემწყობი ორი ძირითადი მიზეზია. აქედან გამომდინარე, შაქრიანი დიაბეტის დროს საჭიროა სწორი კვება, რომლის მიზანია:

1. წონის დაქვეითება;
2. სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირება (დაქვეითება);
3. სისხლში შაქრის მაჩვენებლის შენარჩუნება სამიზნე ციფრებამდე.

იმის მიუხედავად, რომ ნახშირწყლები ზრდიან სისხლში შაქრის დონეს, ისინი ორგანიზმის ენერგიის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. ამიტომ კვების რაციონიდან ნახშიწყლების სრული ამოღება არ შეიძლება!

კვებიდან აუცილებელია ამოვიღოთ მხოლოდ ის ნახშირწყლები, როლებიც სისხლის შაქრის დონეს სწრაფად ზრდიან (შაქარი, თაფლი, მურაბა, ჯემი, ტკბილი სასმელები, წვენები).

– ქალბატონო მარინა, მოდით, მკითხველს უფრო გასაგებად ავუხსნათ, რა არის ნახშირწყლები და რომელი პროდუქტები შეიცავს მას?

– ნახშირწყლები ისეთი ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმში იშლება გლუკოზად (შაქრად).

უპირატესად ნახშიწყლების შემცველი საკვები პროდუქტებია: პური, ფქვილი, სახამებელი, ბურღულეული, (წიწიბურა, ბრინჯი, მჭადი, ღომი, თხევადი რძის ნაწარმი, საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილი სასმელები, წვენები (მათ შორის, ახლადგამოწურული), ტკბილეული (კამფეტები, შოკოლადი, შაქარი, თაფლი), მურაბა, ხილფაფა, მარმალადი, ზეფირი.

ცხიმები არ ზრდიან სისხლის შაქრის დონეს, მაგრამ ცხიმები კვების ყველაზე მაღალკალორიული კომპონენტებია, რომლებიც ქოლესტერინს დიდი რაოდენობით შეიცავენ. ამიტომ წონისა და ქოლესტერინის დონის დასაქვეითებლად აუცილებელია საკვები ცხიმების რაოდენობა დავიყვანოთ მინიმუმამდე.

- რომელი პროდუქტებია უმეტესად ცხიმების შემცველი?

- ასეთი პროდუქტებია:

კარაქი (ცხოველური, მცენარეული), ნაღები, მაიონეზი, ქონი, სოსისი, ძეხვი, სარდილი, თევზის, ფრინველის, საქონლისა და ღორის ცხიმიანი ხორცი, ნიგოზი, მზესუმზირა.

- როგორია ცილოვანი საკვების როლი სისხლში შაქრის დონესთან მიმართებაში?

- ცილები არ ზრდიან სისხლის შაქრის დონეს.

- რომელი პროდუქტები შეიცავს უმეტესად ცილას?

- უპირატესად ცილების შემცველი საკვებია: ხორცი, თევზი, ფრინველის ხორცი, ზღვის პროდუქტები, რძის ნაწარმი (ხაჭო,არაჟანი, ყველი, იოგურტი, ნადუღი, რძე, მაწონი და სხვა.)

– ალკოჰოლური სასმელი ქართული სუფრის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. რამდენად კალორიულია ალკოჰოლი?

- ალკოჰოლი კალორიების დიდ რაოდენობას შეიცავს. სამაგიეროდ, წყალი, ვიტამინები, მინერალური წყალი არ ზრდიან სისხლში შაქრის დონეს.

- ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის დროს რომელი საკვები მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე?

-კვების მწვანე შუქნიშანი აქვს შემდეგ პროდუქტებს: - კიტრი, პომიდორი, ყველა სახის კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი, ყაბაბი, წიწაკა, სალათის ფოთლები, მწვანილეული, ხახვი, ნიორი, სტაფილო, თალგამი, ბოლოკი, სოკო, ჩაი, ყავა უშაქრო, მინერალური წყლები.

- რომელი საკვები უნდა მიიღოს დიაბეტიანმა ზომიერი შეზღუდვით?

– რძის პროდუქტები (დაბალ ცხიმიანობით) ხაჭო, ყველი (ნაკლებად ცხიმიანი) რძე, არაჟანი (დაბალცხიმიანი), უცხიმო თევზი და ხორცი, კანგადაცლილი ფრინველის ხორცი, ბურღულეული, მაკარონი, პური, კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, ბადრიჯანი, ხილი, მშრალი და ნახევრადმშრალი ღვინო.

- აქვე ვთქვათ, რომელი საკვები უნდა შეიზღუდოს მაქსიმალურად?

- ასეთი პროდუქტებია: კარაქი ნაღების და მცენარეული, ქონი, მაიონეზი, არაჟანი, (მაღალცხიმიანი) ნაღები, ყველი (მაღალცხიმიანოი) ცხიმიანი ხორცი, სოსისი, სარდილი, ძეხვეული, ცხიმიანი თევზი, ნიგოზი, მზესუმზირა, თაფლი, შაქარი, მურაბა, ხილფაფა, ტკბილი სასმელი, კანფეტი, შოკოლადი, ნაყინი, ნამცხვარი, ტორტი, ორცხობილა, ალკოჰოლური სასმელი. (ტკბილი ღვინო, ლიქიორი, ტკბილი ალკოჰოლური კოქტეილი)

– რამდენად სასარგებლოა და მიზანშეწონილი ფიზიკური დატვირთვა შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტისათვის?

ზომიერი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლოა დიაბეტიანი ადამიანისათვის, რადგან:

1. ხელს უწყობს წონის დაქვეითებას;
2. **ამცირებს სისხლში შაქრის დონეს.**

ამასთან ერთად აუცილებელია რეგულარული ვარჯიში მინიმუმ კვირაში 3-ჯერ 40 წუთის ხანგრძლივობით.

ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვა უკუნაჩვენებია, როდესაც სისხლში შაქრის დონე აღემატება 14 მ/ლ (ანუ 250%-ს) ასევე ხანგრძლივი და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა არაა მიზანშეწონილი მშიერზე.

- კიდევ რა რჩევის მიცემა შეგიძლიათ კვებასთან დაკავშირებით?

- დილით უზმოზე მიიღეთ 1 ჭიქა წყალი.

- ყოველი კვების წინ, ნახევარი საათით ადრე მიიღეთ 1 ჭიქა წყალი.

- ნუ ივახშმებთ გვიან და უხვად.

- კვებათა შორის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

რაც შეეხება კვების ჯერადობას (ანუ დღეში რამდენჯერ უნდა კვება), კვებათა შორის ინტერვალს, დიეტურ კალორიას – ეს ინდივიდუალურია თითოეული ადამიანებისათვის.

მისი ცხოვრების წესის, ფიზიკური დატვირთვის, ენერგეტიკული ხარჯვის, შრომის რიტმისა და განრიგის გათვალისწინებით.

ვიფიქროთ იმაზე, რომ უმჯობესია ვჭამოთ იმისათვის, რომ ვიცხოვროთ და არ ვიცხოვროთ მხოლოდ იმისათვის, რომ ვჭამოთ.

გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას!

გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის

ნაირა გორაშვილი

საახალწლო დღეების ქრონიკა

* * *

დედოფლისწყაროს ხელმძღვანელმა პირებმა დამდეგი ახალი წელი დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარებს მიულოცეს. საახალწლო საჩუქრები მათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა ქ.დედოფლისწყაროში ბესიკ ცისკარაულმა გადასცეს. ბენეფიციარებმა და თანამშრომლებმა სტუმრებს ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადეს. საქველმოქმედო აქცია დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მასპინძელთა შეკითხვებს უპასუხეს.

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც ახალ წელს თითქმის არასდროს ხვდებიან საკუთარ ოჯახებში, რადგან ისინი ამ დროს პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ.

პირველი იანვრის ღამეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი პოლიციის,სახანძრო -სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო -სამედიცინო დახმარების დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებებს ეწვივნენ და მორიგე პერსონალს ახალი წლის დადგომა მიულოცეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მათ საახალწლო ნუგბარიც გადასცეს და პროფესიული წინსვლა და წარმატებები უსურვეს.

* * *

2014 წლის 7 იანვარს,ქ.დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრიდან მოეწყო საშობაო მსვლელობა,რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდია „არლეკინოს“ აღსაზრდელები,ეკლესიის მრევლი,მგალობლები,კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები,რიგითი მოქალაქეები.

ალილოს მახარობლებს გზადაგზა ხვდებოდნენ პოლიციისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლები,მაღაზიის მფლობელები,ბაზრის მოვაჭრეები,ტაქსის მძღოლები - ხილითა და ტკბილეულით.

შემოწირულობა ტაძარში მიიტანეს და გადანაწილდა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

„შარლი ებდოს“ ტრაგედია



(მეორე გვერდიდან)

კონსტრუირებულ საეთერო სივრცეში და იმდენად ერთმნიშვნელოვნად აღმოვჩნდით საინფორმაციო სივრცით მონუსხულები, რომ ნამდვილი რელიგიური განცდისათვისა თუ ღირებულებათა მიმართ ჩვენი უშუალო, პიროვნული დადგინებისათვის არც დრო და არც ადგილი არ გვრჩება.

აშკარაა, რომ ტეროორისტებისა და მათი ლობისთვის სხვისი სიცოცხლე მხოლოდ მასალაა, მხოლოდ საზარბაზნე ხორცია, რომლის გასროლამაც ხმაური უნდა გამოიწვიოს და სახელმწიფოს სტრუქტურირებული ძალაუფლების სივრცე საინფორმაციო ძალაუფლებით შეარყიოს. აი, რატომ ითვლება ტეროორიზმი გლობალიზაციის ერთ—ერთ უმძიმეს სიმბოლოდ.

განსხვავებით 2001 წლის 11 სექტემბრის, ბესლანისა თუ ნორვეგიის საზარელი ტერაქტებისგან, პარიზში დატრიალებულ ტრაგედიასთან მუსლიმურ სამყაროს არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მიუხედავად პარიზის ტერაქტთან მსხვერპლის მასშტაბის არათანაზომადობისა, მედიაზე განხორციელებულმა ტერაქტმა კიდევ უფრო მძიმე რამ დაგვანახა - საინფორმაციო სივრცეშიც კი, სახელმწიფოს რაფინირებული ძალაუფლება უნებლიედ ვირტუალურ ძალაუფლებას უპირისპირდება, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. საინფორმაციო ძალაუფლების ერა ახლა დაიწყო. მხოლოდ მისი წყალობით გახდა შესაძლებელი ტრანსნაციონალური კომპანიების უზომოდ დიდი ეკონომიური წარმატება, ეკონომიკური პროცესებით პოლიტიკის მართვა, დეტერიტორიზაცია, ვესტერნიზაცია, ეთნიკურ, რელიგიურ და ზოგადად, კულტურულ იდენტობათა რღვევა. ამ ყველაფრის ინსრუმენტი ინფორმაციული ტექნოლოგიებია, რითიც ძალზე იოლია საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება და მისი სტრუქტურირება.

სწორედ ფრანგი ფილოსოფოსები აღწერენ ამ მანიპულირების შედეგს, როგორც “მდუმარე უმრავლესობის ჩრდილს”. შეხედეთ, როგორია თითქოს სპონტანურად გაჩენილი, მაგრამ სრულიად ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრი. და როგორ ფიქრობთ, რაზეა იგი მიმართული. იმ რელიგიურ გრძნობებსა და სიცხადეზე, რომლისთვისაც ტეროორისტების მიერ არაერთხელ დატრიალებული ჯოჯოხეთი საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა? სრულიადაც არა. უნინამც საქმის გარჩევაზე, მტყუან-მართლის გარკვევაზე, ძალაუფლების იმ კომუნიკაციური სივრცის კონსტრუირებაზე, რომლის ფორმატს სრულიად სხვანი გვთავაზობენ, როგორც ღირებულებათა ორ სხვადასხვა აღწერას და რომელსაც უნებლიედ, როგორც ლოკომოტივს, ისე მიებმებიან ინფორმაციის “მომხმარებელნი” - სიტყვის თავისუფლების აპოლოგეტებიც და რელიგიური გრძნობებისადმი პატივისცემის გამოხატვის აპოლოგეტებიც. აღარავის ახსოვს არც ამ ყველაფრის რეალურ საფუძველში გარკვევა და აღარც იმაზე ფიქრი, როგორ გავარღვიოთ ამ მოჯადოვებული წრის რეჟიმი.

- ხომ არ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მომხდარი მულტიკულტურის იდეის კრახის შედეგია ან ღია დაპირისპირების ფაზაში გადასული ცივილიზაციური დაპირისპირება, რომელსაც ცივილიზებულმა სამყარომ ჯერ არ იცის, როგორ დაუპირისპირდეს და გაუმკლავდეს. თქვენი აზრით, რასთან უფრო გვაქვს საქმე - ევროპაში მულტიკულტურის იდეის კრახთან, თუ ახლო აღმოსავლეთში “ისლამური სახელმწიფოს” გაჩენის გამო შუა ევროპაში ცივილიზაციურ დაპირისპირებასთან?

- დიახ, ალბათ ყველაფერი ერთადაა. ნებისმიერი, თუნდაც ერთი შეხედვით “მდარე” კულტურის რეჟიმი გაცილებით მყარი და ძნელად დასარღვევია პოლიტიკურ რეჟიმთან შედარებით. კულტურის რეჟიმი იმ ღირებულებათა საზრისებზე დგას, რომელსაც ნებისმიერ კულტურაში რელიგიური (და არა მხოლოდ აღმსარებლური) საფუძველი აქვს.

ამ რელიგიური სიცხადეების მიმართ დგინდებოდა და დგინდება ნებისმიერი კულტურა ყოფითი ქცევებითა და ჩვევებით დანყებული, მაღალი თუ ნატიფი ხელოვნების ჩათვლით. სწორედ ამის გამო გლობალისტურმა დეტერიტორიზაციამ, რა თქმა უნდა, ცივილიზაციათა შეჯახება გამოიწვია. თუ “ცივი ომის” დროს ჯერ კიდევ შეიძლებოდა პირველ, მეორე და მესამე ქვეყნებად დაყოფილიყო მსოფლიო, რა თქმა უნდა, თანამედროვე მსოფლიოში უკვე ასეთმა დაყოფამ აზრი დაკარგა. ლიბერალიზმის იდეოლოგიამ კი, შემოიტანა მულტიკულტურალობის პარამეტრი, როცა შესაძლებელია, ამა თუ იმ კულტურის თუ სუბკულტურის უმცირესობამ მისთვის კულტურული მოცემულობით არაორგანულ გარემოში შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი კულტურა. რა თქმა უნდა, ამ ჰუმანური იდეის საზრისის ეჭვქვეშ დაყენება მხოლოდ შედეგებზე დაკვირვებითლა იქნება შესაძლებელი. შედეგები კი ის არის, რაც არის. იმ სრულიად ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ ადამიანი მხოლოდ კეთილ საწყისზე არ დგას, ხშირ შემთხვევაში უმცირესობებმა თავისი სოციალური პოზიციის “კაპიტალიზაციას” მიჰყვეს ხელი, მით უფრო, რომ იდეოლოგიური კონიუნქტურა უმცირესობის ამ “კაპიტალის” განმტკიცებას უწყობს ხელს. იდეოლოგიური მანქანა კი ისეთი რამ გახლავთ, რომელიც აღარ დაგიდევთ, მისი რეჟიმის ქვეშ მყოფი ადამიანები მადლს შობენ, თუ ბოროტებას. ამიტომაც ამ ახალ რეალობაში თავად მულტიკულტურალიზმს კანონმდებლობის დონეზე მოუწევს პოლიტიკურ დისკურსში შესვლა, რომ მულტიკულტურალიზმის საფუძველში მყოფი - ჰუმანური იდეა გადაარჩინოს. ყველა სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ეს კეთილი იდეა მისივე იდეოლოგიზების მსხვერპლი გახდეს. ამის საშიშროება არა თუ არსებობს, არამედ სახეზეა და უკანასკნელი ტერაქტის განხილვების ფორმატიც ამის იქით არ მიდის. ისევ მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმის გამო დგება მხოლოდ საკითხი ისე, გვავიწყდება კიდეც, რომ მედლის მეორე მხარეს შესაძლოა თავად მულტიკულტურული იდეოლოგიის კულტურაში დაბადებული მონსტრი - ევროპელი ბრეივიკი აღმოჩნდეს, რომელსაც ხელი არ აუკანკალდება ამ იდეოლოგიების მიღმა მდგარი ახალგაზრდა ყმაწვილებისა და გოგონების დახოცვაზე.

სხვა თემაა, და რა თქმა უნდა, რომ რეალურად არსებობს მუსლიმური ფუნდამენტალიზმიც და სხვა ტიპის რელიგიური ექსტრემიზმიც, რომელთათვისაც უცხოა განსხვავებული ღირებულებითი საზრისების აღიარება. ამჯერად მუსლიმურმა ფუმდამენტალიზმმა ახალ ხერხს მიმართა - კანონმდებლობის სტრუქტურაში მოქცევით, მაგალითისთვის, “ისლამური სახელმწიფოს” შექმნით ის ცდილობს, სახელმწიფოებრივი პარადიგმის საზღვრებში მოაქციოს თავისი ქცევა, რომ პოლიტიკური დისკურსიც შეიძინოს. ამიტომ სრულიად აშკარაა, როცა ადამიანებს, რომლებსაც ისეთი შემოქმედებითი ნება ადუღაბებთ, როგორიც კულტურაა, იქ მხოლოდ კანონით დადგენილი ურთიერთობების გარდა, კულტურის მიერ სხვა კულტურის აღიარების ნებაც უნდა მონანილეობდეს, რომელიც შეუძლებელი ხდება რიგ შემთხვევაში, რამდენადაც ნებისმიერი ომი კონკრეტული კულტურის, კონკრეტული ღირებულებების ექსპანსიას ემსახურება და ამის თვალსაჩინო მაგალითი მსოფლიო ისტორია გახლავთ.

- მე-20 საუკენემ დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე და ძალა საკმაოდ ბევრჯერ გვანახა. ევროპულმა დემოკრატიამ და საიმიგრაციო კანონმდებლობამ ათასობით მუსლიმს ევროპის ქვეყნებში ჩასვლისა და ცხოვრების საშუალება მისცა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ სწორედაც რომ ევროპაში მულტიკულტურის იდეის კრახის გამო ფუნდამენტური ისლამი სულ უფრო მეტად იკრებს ძალას, რაზეც ახლო აღმოსავლეთში “ისლამური სახელმწიფოს” მრავალათასიანი ჯგუფების მიმდევრების გაჩენაც მეტყველებს. ამაზევე მეტყველებს გერმანიასა და შვეიცარიაში მუსლიმების მოთხოვნები იმდენი მეჩეთი იქნას აგებული, რამდენიც მათ სურთ, რამაც ამ ქვეყებში სულ ცოტა ხნის წინ საპროტესტო აქციების ტალღა ააგორა. ფაქტია, რომ მომხდარის შემდეგ შუა ევროპაში სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები იძულებული იქნებიან, გაამკაცრონ ბრძოლა ფუნდამენტალურ ისლამთან, რაც თავის მხრივ ამ ჯგუფებისაგან წინააღმდეგობას გამოიწვევს. ფაქტია, რომ მომხდარმა შესაძლოა, სახიფათო ტენდენციას ჩაუყაროს საფუძველი. რამდენად დიდია ევროპაში რელიგიური ომის საფრთხე?

- დიახ, მე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ლიბერალური ღირებულებების სივრცეში არაერთი ექსტრემისტული იდეოლოგია და არა მხოლოდ მუსლიმური ფუნდამენტალიზმი, საკუთარი თავის, როგორც “უმცირესობის” სოციალური პოზიციის “კაპიტალიზაციას” ახდენს, სწორედ ლიბერალურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. ეს ურთულესი თემაა და მუსლიმური ფუნდამენტალიზმის შემთხვევაში შესაძლოა, კიდევ სხვა რამ იყოს გასათვალისწინებელი. იარაღი, როგორც საბრძოლო, ისე ტექნოლოგიური ნებისმიერი ქვეყნის იდეოლოგიის ნაწილს წარმოადგენს. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი მისი “ღირებულებითი ატრიბუტია”.

ნებისმიერი სახელმწიფისა თუ ქვეყნის შინაგანი, ღირებულებითი დემონტაჟი იწყება მაშინ, როცა იგი იარაღით ვაჭრობას იწყებს, როცა იარაღს სასაქონლო ფუნქციას ანიჭებს და თავის რჩენის საშუალებად აქცევს. ამ ყოველივეს სწორედ ფრანგი ჟან ბოდრიარი თავის ცნობილ ესეში “ტეროორიზმის სული” უწოდებს “სიტუაციის ტეროორისტულ ტრანსფერს” და ამბობს, რომ ტეროორიზმი არის პასუხი ახალი მსოფლიო ეკონომიური წესრიგის - გლობალიზაციის რაფინირებულ ტეროორზე.

ამით მსოფლიო თითქოს საკუთარ გლობალიზაციას ეწინააღმდეგება. ამიტომ, რაც არ უნდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შევაფერადოთ ტეროტიზმი, მას არც საზრისული, არც ღირებულებითი და არც იდეოლოგიური ბერკეტები არ გააჩნია. ასე რომ, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა სადღაც სხვა სიბრტყეზე დარჩა. ამჯერად ორი დემონი იბრძვის, ერთი, რომელიც უნიფიცირებას ეწევა ერების, ეთნოსების, რელიგიების, კულტურების და მეორე ამ ძალადობის საპირწინე და მისივე იდეოლოგიით გაუკულმართებული ფსევდორელიგიურობა და ფსევდონაციონალიზმი, რომელსაც როგორც პირველს (რომელსაც იდეალურად ზოგადადამიანური უნიფიცირების სურვილის ხარჯზე) საკუთარ ნამდვილ ადამიანურ უნიკალურ ეთნიკურობასა თუ ნამდვილ რელიგიურობასთან დიდი ხანია საერთო დაუკარგავთ. ამიტომ, სრულიად ცალსახაა ის კრიზისი, რომელშიც ეს ღირებულებათა “ომი” მიმდინარეობს. ევროპასაც და ისლამისტურ სახელმწიფოებსაც (და არა მხოლოდ მათ) მოუწევთ ამაზე დაფიქრება და იმ ღირსეული ურთიერთობის წესების დადგენა, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთისათვის ხელის განვდენაც მოუწევთ ადამიანის იდეის გადასარჩენად.

- ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძის ინფორმაციით, მარტო საფრანგეთში 750-ზე მეტი ე.წ. “შარიათული ზონაა”, რომლებიც ფაქტობრივად ავტონომიური ტერიტორიებია, სადაც შარიათული კანონებით ცხოვრობენ და როგორც ამბობენ ფრანგული პოლიცია იქ ცხვირსაც ვერ ყოფს. თუმცა, სხვა მონაცემებით, საჭიროების შემთხვევაში პოლიცია ამგვარ ტერიტორიებზე საკმაოდ მკაცრადაც მოქმედებს. თქვენი აზრით, მომხდარზე როგორი იქნება საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების რეაქცია? მენიშნა ვერსალის სასახლეში პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის შეხვედრა ექს-რეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან, რომელმაც თავის დროზე, როცა იგი საფრანგეთის შსს-ს მინისტრი იყო, პოლიტიკური კარიერა იმით გაიკეთა, რომ სასტიკად გაუსწორდა ემიგრანტებს, რომლებმაც საფრანგეთის არაერთ ქალაქებში აქციების მოწყობის გარდა არეულობები გამოიწვიეს, მაღაზიები, რესტორნები და მანქანები დაწვეს. . .

- თუ 750 სახელმწიფოსგან კონტროლს მიღმა დარჩენილი აგრესიული სუბკულტურა არსებობს, ეს უკვე საკმარისზე მეტ საფუძველს იძლევა, რომ ვიფიქროთ, როგორი ექნება ხვალინდელი დღე არა მხოლოდ ევროპას, არამედ ჩვენს პლანეტას. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რომ ტეროტიზმმა მართლაც ისლამური ფუნდამენტალიზმის წიაღში იპოვა ნოყიერი ნიადაგი. ეს, ვფიქრობ ისლამური სამყაროს სერიოზული საფიქრალია. პარიზში დარტიალებულმა ტრაგედიამ დაგვანახა, რომ სიტუაციის გადააზრების წინაშე ვდგავართ და ამის შესახებ თქვენ თქვენს კითხვაში მიუთითებთ კიდეც.

რა თქმა უნდა, ძალზე ბევრი იქნება დამოკიდებული იმ ადამიანთა აზროვნების თვალსაწიერსა და ნებაზე, რომელთაც “ძლიერნი ამა სოფლისანი” ჰქვიათ. ტეროორიზმის მსოფლიო საფრთხე უკვე აღარ გახლავთ ვიხმესთან ან რაიმე ძალასთან ომის უნინდელი კანონებით ბრძოლა ან გამკლავება და ეს დღეს უკვე აშკარაა. მნიშვნელოვანია ალბათ ისიც, როგორი რეაქცია ექნებათ ყოველივე ამაზე და კიდევ “ისლამური სახელმწიფოს” იდეოლოგიაზე მუსლიმურ სახელმწიფოებს.

- როცა “ისლამური სახელმწიფოს” პრობლემაზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს დაუზუსტებელი მონაცემებით “ისლამური სახელმწიფოს” მხარეზე მებრძოლი საქართველოს 100-მდე მოქალაქის არსებობის შესახებ. პრაქტიკულად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მცირე ჯგუფები, მაგრამ მაინც ჩვენი მოქალაქეები, ღიად უჭერენ მხარს “ისლამური სახელმწიფოს” შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი რელიგიური განათლებას სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყნებში იღებენ, არაა გამორიცხული, რომ სხვა ქვეყნების მედრესეებში სასწავლებლად ნასული საქართველოს მოქალაქეებმა კვლავაც შეავსონ “ისლამური სახელმწიფოს” მხარადამჭერთა რიგები. ამ თვალსაზრისით რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ისლამურ ქვეყნების მედრესეებში სასწავლებლად ნასული საქართველოს მოქალაქეები? და კიდევ, თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ როგორც სახელმწიფომ, რომ “ისლამური სახელმწიფოს” მხარდამჭერებისაგან საფრთხეები მაქსიმალურად შემცირდეს?

- ეს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, მძიმე გამოწვევა გახლავთ. საქართველოში მუსლიმი მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენენ. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ გახლავთ, მათ რიგებშიც აღმოჩენილიყვნენ ექსტრემისტული განწყობის მქონე ადამიანები. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის სიმწირის გამო არც ის არის გამორიცხული, მათი ხასიათის ამ თვისებებით სარგებლობდნენ ისინი, ვინც ამ ხასიათს კიდევ ფულითაც დააფინანსებს საკუთარი მიზნებისათვის. ამიტომ გარკვეული საფრთხეები, რა თქმა უნდა, არსებობს. ამიტომაც, საქართველოს, ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო პოლიტიკის გარდა, შესამუშავებელი აქვს რელიგიური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შემუშავება დანყებულია. ნახევარი წელია, რაც დაარსდა რელიგიის საკითხთა სახელმწიგო სააგენტო, რომელიც ორიენტირებულია ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავებაზე. მედრესეთა გახსნისა, თუ საქართველოში მუსლიმი მოსახლეობის სწავლების საკითხიც ალბათ ფაქიზ მოპყრობასა და დიდ ყურადღებას იმსახურებს. ჩემი მოკრძალებული აზრით, ჩვენ გვყოფნის ნება, ჩვენივე არაქართველ და ქართველ მუსლიმ ადამიანებს საქართველოში შეეუქმნათ იმის პირობები, რომ შეეძლოთ საკუთარი რეელიგიის სიღრმეების წვდომა, მისი სწავლებაცა და სწავლაც.

საქართველო თავისი პოლიმოზაიკური კულტურით, პოლიეთნიკურობითა და პოლირელიგიური მრავალფეროვნებით სრულ საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ მას ჯერ კიდევ აქვს შინაგანი რესურსი საიმისოდ, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდეს. ქვეყნის რელიგიური და საგანმანათლებლო პოლიტიკა სრულ უნისონში უნდა მოექცეს. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ამაზე ზრუნვა უკვე დაიწყო. ახლა მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ მსოფლიო გამოწვევები და ღირსეული პარტნიორობა გავუწიოთ ჩვენში ჩვენსავე ღირსეულ და კეთილ ნებას, რომელიც მუდმივად გვკარნახობს, სად ვაშავებთ და სად ვართ მართალნი.

პოეტი დავით შემოქმედელი (ტაკიძე):

მე არ ვარ შარლი!

მე არ ვარ შარლი, იმიტომ, რომ ვარ ადამიანი, რომელსაც არ შემიძლია უკიდურესად ცინიკური ფორმით მილიონობით ადამიანის რელიგიური თუ პირადი ღირსება და პატივი შეურაცხვყო, ანუ ჩემი თავისუფლების ხარისხი გავზარდო სხვათა თავისუფლებისა და წმინდა გრძნობის დამცრობის ხარჯზე.

მე არ ვარ შარლი, რადგან უხსოვარი დროიდან ერთ პატარა მინის ნაკვეთზე გვერდიგვერდ მქონდა სხვადასხვა სარწმუნოების სალოცავი: ქრისტიანული ტაძარი, მეჩეთი და სინაგოგა.

მე არ ვარ შარლი, რადგან გეოპოლიტიკურად ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მყოფისთვის უცხო იყო დასავლურ-აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა დაპირისპირება. ამისი მკაფიო კლასიკური მაგალითია ,,ვეფხისტყაოსანი''(მინაარსით დასავლური, ფორმით აღმოსავლური), მთელი ქართული კულტურა და ცხოვრების წესი. ,,მე გავმლი ხელებს და შეერთდება აღმოსავლეთი და დასავლეთი'' - ლადო ასათიანი.

მე არ ვარ შარლი, რადგან მუდამ ვიცოდი, რომ ნანილი განსაზღვრავს მთელს და მთელი - ნანილს, რადგან მე მაქვს ჩვენი კლასიკოსების მიერ ბოძებული ამ სამყაროში ცხოვრების კონსტიტუცია: ვაჟა-ფშაველას წერილი ,,პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი'', აკაკი წერეთლის: ,,ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყნა...''

მე არ ვარ შარლი, რადგან მე შეიძლება ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი რენეგატი და ფულზე სულგაყიდული მყავდა, მამასა და ძმას რომ მოკლავდა და სამეფო ტახტს მიიტაცებდა, რაც არც სხვა ძველი თუ ახალი ერებისთვის არის უმაგალითო, მაგრამ მე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის თავშენირული მიხეილ თამარაშვილი, გრიგოლ ფერაძე, ფორე მოსულიშვილი, იოსებ ჟორდანიაც მყოლია, რომელთაც აგერ ახლახან მამა ილია კარტოზიაც შეემატა.

მე არ ვარ შარლი და ჩემთვის ისედაც მიუღებელია ტეროორიზმი, რადგან კაცთაკვლას მხოლოდ პროფესიით კილერი ამართლებს.

მე არ ვარ შარლი, არც ევროპელი, არც აზიელი, არც რუსი და არც არავინ რომელიმე ქვეყნელი.

მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ქართველი ვარ!!!

მასალა მოამზადა
ინგა ციულაკვილმა

მადლიერება

დადგა ზამთარი და თოვლიც მოვიდა. სოფელში უფრო ძნელია თავის გაფრთხილება და ...გავცივდი. 8 იანვარს საავადმყოფოში მისული ვყოყმანობდი, ექიმთან შევიდე თუ არა-მეთქი. ექიმმა ვანო ნატროშვილმა შემნიშნა და მითხრა, ზინა ექიმი აქ არის, რატომ არ შედიხარო. შემიყვანა და ზინამაც გაიკვირვა:- რა გაგჭირვებია, მოდი, გაგსინჯოო. ჩვეული სიდინჯითა და ყურადღებით მომისმინა და მითხრა: ფილტვების ანთება და მაღალი წნევა გაქვს, შენ აქ დარჩები და გიმკურნალებთო. ზინას ცოდნა- გამოცდილება, მჭერმეტყველება და ავადმყოფთან მიდგომის წესი არ მიკვირს ჩემი მეუღლის, გურამი ბენაშვილის, პირადი ექიმი იყო, მაგრამ მაოცებს მისი უშრეტი ენერგია და ახალგაზრდული შემართება.

ხუთი დღე დავრჩი სტაციონარში და მასთან ერთად მორიგე ექიმები: ია უსენაშვილი, იამზე ბაღაშვილი, ნაირა თევზაძე, დალი ლალიაშვილი, ეკა გონაშვილი ცდილობდნენ ჩემს გამოჯანმრთელებას. მათ მხარში ედგნენ გამოცდილი მედდები: ეკა ბოჭორიძე, მანანა სულაშვილი, ნათია სეფიაშვილი, რომლებიც ზუსტად ასრულებდნენ ექიმ ზინა ძელურის დანიშნულებას. მათთან ერთად პალატებში დაცქრიალებდნენ პრაქტიკანტი გოგონები: ნანა ფილიშვილი, ნათია გოგილაშვილი, ინგა ქოქუაშვილი, ირინა აბაშიძე, ვალენტინა ვალუოსკაია. მიუხედავად არაკომფორტული პირობებისა, მთელი მედპერსონალი თავდადებით მუშაობს. დასტრიალებდნენ თითოეულ პაციენტს, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქონ. მაპატიონ მათ, ვინც ვერ დავწერე სახელობით. მადლობა სანიტრებს. მადლობას ვუხდი ყველას ჩემზე გაწეული ზრუნვისთვის და ვულოცავ ახალ წელს. მადლობას ვუხდი ჩემი შვილების- გულნარასა და ზაზას მეგობრებს. გენადი და ნელი აფციაურებს,ექიმებს ცირა ლაპიაშვილსა და მარინა მეხრიშვილს ჩემდამი პატივისცემისა და ყურადღებისთვის. შვილებს შევატყობინე ჩემი ამბავი ქუთაისსა და თბილისში და ვუთხარი, არ ჩამოხვიდეთ, ამინდი ცუდია,თოვს მეთქი, მათ დაურეკეს თავის მეგობრებს და მომხედეს, ასე რომ, „უპატრონო ავადმყოფი“ არ ვიყავი.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მაზლისშვილს, ემზარ ბენაშვილს, ჩემზე გაწეული მზრუნველობისთვის და რძალს, მანანა იაკობიშვილს ჩემი ოჯახის მიხედვისათვის.

ნეტავ ყველა სიკეთეს და სიყვარულს თესავდეს. ქვეყნად სიკეთის ფასი ხომ არაფერია და მეც გული სიყვარულით მაქვს სავსე, მიყვარს ყველა კეთილი ადამიანი,ვინც სხვას გაჭირვებაში არ მიატოვებს.

გილოცავთ ყველს ახალ წელს! უფალი გფარავდეთ!

ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი
პენსიონერი პედაგოგი.
სოფელი გამარჯვება.

მოსწავლეთა კონფერენციაზე

2014 წლის 20 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა მოსწავლეთა 69-ე სასაწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მე-2 ტური.

კონფერენციის გახსნისას სტუმრებს მიესალმა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ქალბატონი ირმა ბენაშვილი. მან მოკლედ ისაუბრა წინა 68-ე კონფერენციის მონაწილეებზე, რომლებმაც დაიმსახურეს დიპლომები და სიგელები, შემდეგ კი კონკრეტულად 69-ე კონფერენციის შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ: სტუმრები: ქ. თბილისის მ/ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები ნანა მახარაძე და ნათელა ჩხეიძე. საალმზრდელო ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაია ყოჩიაშვილი ,მონვეული პედაგოგები: გულნარა გორაშვილი -”№2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, ნუნუკა ჯინაშვილი №2 სკ. გეოგრაფიის მასწავლებელი, მაია ბეგიაშვილი N1 საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგი, ირინა თეთვაძე–ქიმიის მასწავლებელი, მ/ახალგაზრდობის პედაგოგები. მათ მადლობა გადაუხადა ირმა ბენაშვილმა კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში გაწეული დახმარებისა და გვერდში დგომისათვის.

საკონფერენციო თემები წარმოადგინეს რაიონის და სოფლების სკოლებმა: დედოფლისწყაროს I საჯარო სკოლის, II საჯარო სკოლის, ხორნაბუჯის, არბოშიკის, ოზაანის, ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს სკოლების მოსწავლეებმა.

განსაკუთრებით ამაღელვებელი მოსასმენი იყო ზემო ქედის I სკოლის მოსწავლის ტარიელ მელიქიშვილის თემა „არა ძალადობას!“ რომელიც ეხებოდა 2008 წლის ომის სისასტიკეს და მის მწარე შედეგს,, რაც საკუთარ თანასოფლელებზე იგემეს ქედელებმა.

საინტერესო და სასიამოვნო მოსასმენი იყო ოზაანის სკოლის მოსწავლის სალომე თარაშვილის თემა „გასაუბრება უფლისციხის კედლებთან“

მოსაწონი იყო ელენე და ანა ბულაშვილების თემა „ელია თეზბიტელის ტაძრის“ შესახებ.

კონფერენციის გახსნის შემდეგ დაიწყო სექციური მუშაობა: ქართული ლიტერატურის და ფოლკლორის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ეთნოგრაფიამხარეთმცოდნეობის, მათემატიკის, უცხო ენების, შემოქმედებითი და ასტრონომიის სექციები მუშაობდნენ სხვადასხვა კაბინეტებში.

მოსწავლეები განსაკუთრებით აქტიურობდნენ თემების დაცვის დროს. ამისათვის მათ მადლობა გადაუხადეს მოწვეულმა სტუმრებმა და გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ კარგი განათლება და განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს.

თბილისიდან მოწვეულმა სტუმრებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის კოლექტივს ასეთი აქტიურობისათვის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარებული ტურის შემდეგ თემები გაიგზავნა ქ.თბილისის მ/ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, სადაც დასკვნითი ტური ჩატარდება.

წარმატებას ვუსურვებთ მათ. რაც შეიძლება მეტი დიპლომი და სიგელი დაემსახურებინოთ და უფრო ენერგიულად გააგრძელონ მუშაობა ცოდნის შესაძენად.

თამარ ლაპიაშვილი,
მ/ახალგაზრდობის სახლის პედგოგი

მონატრება

ოთარ ლაპიაშვილი

13 იანვარს 36 წელი შეგისრულდებოდა. პირველი ახალი წელი მოვიდა უშენოდ.შენმა გაუხარელმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. დაგვიტოვე სამუდამო მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც ვერასოდეს განიკურნება.

27 იანვარს ერთი წელი გახდება, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ჩვენო უსაყვარლესო , ყველასათვის დაუვიწყარო, გილოცავთ დაბადების დღეს. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები, სანამ იარსებებს ჩვენი სისხლი და ხორცი. შენს სიცოცხლეს შენი ორი ვაჟკაცი აგრძელებს, რომლებიც შენ უზომოდ გიყვარდა.

ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, მოგიტანთ ყვავილებს, ცრემლიანი თვალებით დაგინთებთ უამრავ სანთელს და ვილოცებთ შენი სულისთვის. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

შენი ოჯახი



თენგიზ ზურაშვილი

45 დღის წინ, 3 დეკემბერს, გამთენიისას, ტელეფონის ზარმა შემზარავი ამბავი გვამცნო:-ჩვენი ერთადერთი, საფიცარი ძმა, რომელიც წლების განმავლობაში ისედაც სულ გვენატრებოდა, რადგან ჩვენგან შორს, რუსეთში ცხოვრობდა, მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა. ეს იყო ელდა, რომელმაც შეგვძრა და გაგვანადგურა. ასგზის მტკივნეული იყო ის, რომ უკანასკნელ გზაზეც ვერ ვაცილებდით მას.

2 თებერვალს მას მხოლოდ 59 წელი შეუსრულდებოდა. 1973 წელს, როცა ქ.დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლა დაამთავრა, ჯარში წავიდა. ქალაქ ვორონეჟში მოხვდა. სავალდებულო სამსახურის მოხდის მერე იქ დარჩა საცხოვრებლად, შეირთო ცოლი, ეყოლათ ორი შვილი-დიდი პაპის მოსახელე ილიკო და ბებიის მოსახელე მანია. დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მთელი სიცოცხლე საზოგადოების უსაფრთხოებას ედგა დარაჯად. ცხოვრება მიდიოდა. შვილები დაიზარდნენ, დაოჯახდნენ, თითო შვილიშვილიც აჩუქეს. ჯერ პატარები არიან ბიჭები, სამწუხაროდ მარტო სურათებით ეცოდინებათ პაპა. ილიკომ მამის გზა აირჩია. ის უკვე 38 წლის ვაჟკაცია. სწორედ იმ საბედისწერო დღეს მას მილიციის მაიორის წოდება მიანიჭეს. ამ სიხარულს ვერ გაუძლო შენმა გულმა, ძვირფასო ძმაო. სახლში დაბრუნებულს მანქანიდან გადმოსვლა აღარ დაგცალდა, გულმა გიმტყუნა და ნაადრევად დასრულდა შენი სიცოცხლე. ჩვენი ცრემლი ვერ დაგაყარეთ შენმა ახლობლებმა და დებმა, რომლებსაც ყოველდღე ტელეფონით გვკითხულობდი, გვამხნევებდი და ჩამოსვლას გვპირდებოდი. არ გველირსა შენი ნახვა, ვერც მშობლიურმა მიწამ მიგიბარა. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არ აქვს. მთელმა რაიონმა გაიზიარა შენი გარდაცვალება და ჩვენი მწუხარება. შენი საყვარელი ევდოშვილის ქუჩაც არ გივიწყებს. შენი ცოლ-შვილი ხშირად გვეხმიანება, მაგრამ შენ მაინც სულ სხვა იყავ. წახვედი და მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე აქ დარჩენილებს, იქ კი, მარადიულ ქვეყანაში, შენი მშობლები და 50 წლის ასაკში, უდროოდ გარდაცვლილი ჩვენი და ნათელა დაგხვდებიან. დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ძვირფასო ძმაო!

შენი უფროსი და ფატი
და ტყუპისცალი ლუიზა
ზურაშვილები.

ხსოვნა

ჩემთვის უსაყვარლეს ადამიანებს

სიტყვა „სიკვდილი“ ყოველთვის შემზარავია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ოჯახი კარგავს იმ ადამიანს, ვინც გულთან ახლოსაა. მინდა, პატივისცემით და სიყვარულით გავიხსენო ის ადამიანი, ვინც სულ რამოდენიმე თვეა, რაც ალადაშვილების ოჯახმა დაკარგა. ეს იყო ღვაწლმოსილი პედაგოგი, კეთილშობილი, კარგი შვილების გამზრდელი, კარგი მეუღლე, როგორც თავისი, ასევე ქმრის ნათესავების მოსიყვარულე ადამიანი მავრა მელიქიშვილი. იმიტომ მტკივა გული, რომ ის უდროოდ შეინირა განუკურნებელმა სენმა. მავრა იყო კარგი პედაგოგი, რომელმაც მრავალი თაობა აღზარდა და გამოჩენილ პიროვნებად ჩამოაყალიბა. დასანანია, რომ არ დასცალდა და მან კარგად ვერ გაიცნო სიძე, თავისი მაკას მეუღლე. ასევე ვერ შეესწრო მეორე ქალიშვილის -თეას ბედნიერებას, რომელმაც რვა წლის განმავლობაში არ დატოვა ყურადღების გარეშე დედა და მის მოვლას შეალია მთელი დრო. გიხსენებთ ალადაშვილების ოჯახიდან გარდაცვალებულებს, ჩემს რძალს-მავრა მელიქიშვილს, გიორგი და ლილი ალადაშვილებს, ჩემს საყვარელ მულს-ანეტა მაჩაბლიშვილ-ალადაშვილს. პიროობას გაძლევთ, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ არასდროს დაგივიწყებთ. ნათელში იყოს თქვენი კეთილი სულები იმქვეყნად.

ციცინო გონაშვილი, ბეჭან და ნანა მაჩაბლიშვილები ოჯახებით.

შვილი ნინო ნატროშვილი, სიძეები: თენგიზ იაკობიშვილი, მირიან სულხანიშვილი, შვილიშვილები: გიორგი, თამუნა იაკობიშვილები, შვილთაშვილები: თიკა და ნატალი სულხანიშვილები, ძმისშვილი ნანა მეხრიშვილი, ძმისცოლი თამარ ზედელაშვილი იუწყებიან

ლიზიკო მეხრიშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 11 იანვარს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

კლარა ოზაშვილი და გუგული ალადაშვილი, ნაირა გორაშვილი და გოგი პოპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნინო ნატროშვილის და თენგიზ იაკობიშვილის ოჯახს დედის

ლიზიკო ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: მაყვალა ჯაგაშვილი, მარინა პოპიაშვილი, ზაირა ალუღიშვილი, სეილან ლაპიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი, დათო გონაშვილი ოჯახებით იუწყებიან

თემურ იაკობიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მაგდა პოპიაშვილი, ხატია ხატიაშვილი, ნინო ქურციკიშვილი, ხათუნა ცაბუტაშვილი, მარინა ყაჭაშვილი, ხათუნა კობაიძე, ნუკრი შანშიაშვილი, ზვიად ბიკაშვილი, პაატა ალუღიშვილი, დათო ალუღიშვილი, ვანო ხელაშვილი, ალიკა ქადაგიშვილი იუწყებიან თანაკლასელის

თემურ იაკობიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ყურადღება!

ვაქირავებ ოთახნახევრიან სუფთა ბინას ვარკეთილში ცხელი წყლით, რკინის კარით, მეოთხე სართულზე, გაჩერებასთან.
ტელეფონი: 599 92 72 29

ყურადღება!

რუსთაველის ქ. N4-ში მდებარე (ავტოგასამართი სადგურის „სოკარი“ მოპირდაპირედ) ზოოვეტერინალური მარკეტი (ვეტაფთიაქი) გილოცავთ ახალ 2015 წელს და აცხადებს ფასდაკლებას ვეტერინარულ პრეპარატებზე, ცხოველთა საკვებზე, საკვებ დანამატებზე-ვიტამინებსა და პრემიქსებზე. გათვალისწინებულია საჩუქრები. მობრძანდით, ჩვენ ვმუშაობთ 9-დან 21 საათამდე.

ულოცავენ!

ინგა შიოლაშვილს!

ინგა, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს, შენ ისეთი ლამაზი სულის და არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი ხარ, მუდმივად სასიამოვნოა შენს გვერდით მუშაობა და თანამშრომლობა. წარმატება და წინსვლა შენი თანმდევია, შენ უკვე შემდგარი ქალბატონი ხარ და საზოგადოებაში პატივსაცემი პიროვნება, მაგრამ გისურვებთ კიდევ უფრო მეტ წინსვლას და ყველა სურვილის ახდენას ცხოვრებაში. ძალიან გვიყვარხარ და გვინდა სულ მუდამ მხიარული, დადებითი ემოციებით და სიყვარულით იყოს აღვსილი შენი გული. დაგლოცავთ შენს ოჯახთან, ქალიშვილთან და პატარა, თვალხატულა შვილიშვილთან - დემეტრეთან ერთად. გამრავლდი და გაიხარე. ღმერთის წყალობა არასოდეს მოგკლებოდეს!

შენი „შირაქელები“

კლარა ოზაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო კლარა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო 85 წლისთავს. ეს ხანგრძლივი ცხოვრების გზა სამაგალითოდ გალია, როგორც საუკეთესო ოჯახის დედაბოძმა, კარგმა თანამშრომელმა, საზოგადოების აქტიურმა წევრმა. ბედნიერი ხარ - შვილებში, შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გახარებული, გვერდში გიდგას შენი უსაყვარლესი მეუღლე. ასეთი ბედნიერი იყავი სიცოცხლის ბოლომდე. გვიყვარხარ, გეფერებით და გულწრფელად გილოცავთ. უფალი გფარავდეს.

შენი „შირაქელები“

ივანე გიგოლაშვილს!

ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის თანამშრომლები ულოცავენ ივანე გიგოლაშვილს დაბადების დღეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. სულ ასეთი შემართებით, სიკეთით და გულისხმიერებით ემართოს დედოფლისწყაროს სერვისცენტრი.

ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის თანამშრომლები.

აღმოჩენა, რომელმაც შესაძლოა ისტორია შეცვალოს

შირაქის ველზე აღმოჩენილ ნამოსახლარს ძეგლის სტატუსი მიენიჭება - ამის შესახებ დედოფლისწყაროში მყოფმა კულტურის მინისტრმა განაცხადა. კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე დედოფლისწყაროს 13 იანვარს ეწვივნენ. მათ დიდნაურის ტერიტორიაზე ახლახან აღმოჩენილი უძველესი ნაქალაქარი დაათვალიერეს. ითქვა, რომ აღმოჩენამ შესაძლოა ისტორია შეცვალოს.

„ამ მასშტაბის ძეგლის აღმოჩენა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ჩვენი ამოცანაა გათხრები გაგრძელდეს და მისი შენარჩუნება და პოპულარიზაცია მოხდეს. დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვან აღმოჩენებს გააკეთებენ ჩვენი მეცნიერები და კულტურის სამინისტრო მზადაა, ამ პროცესს ხელი შეუწყოს,“ — აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.

აღმოჩენის მნიშვნელობაზე ადგილზე მყოფი არქეოლოგი კიაზო ფიცხელაური საუბრობდა. აქვე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და კახეთის გუბერნატორის მოადგილე ზურაბ არსენიშვილი.

„მოხარული ვარ, რომ ახალი წელი მნიშვნელოვანი აღმოჩენებით დავიწყეთ. განსაკუთრებით კახეთის რეგიონი აქტიურობს. მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაფიქსირდა დედოფლისწყაროშიც და ასევე, გურჯაანსა და დავით გარეჯში, დოდოს რქის მონასტერთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე დედოფლისწყაროში დავგეგმეთ ის ღონისძიებები, რომლებსაც სამომავლოდ განვახორციელებთ. ვფიქრობ, რომ დედოფლისწყაროში და ზოგადად, ქიზიყში კვლავაც ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გველის, რადგან, ეს ტერიტორიები თითქმის შეუსწავლელია. იგეგმება ამ გათხრების გაგრძელება და შემდგომში მისი კონსერვაცია. აქამდე დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარეობდა შირაქში. წელს ჩვენ დავაფინანსებთ უშუალოდ გათხრების პროცესს. აქ განთავსდება შესაბამისი ბანერები და მნიშვნელოვან აღმოჩენებთან ერთად მის კონსერვაციაზეც ვიზრუნებთ. აუცილებლად მოხდება ამ ადგილის პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა,“ - აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსი ნიკოლოზ ანთიძე.

„საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეს არის კავკასიის უძველესი პატარა სახელმწიფოს დედაქალაქი. შირაქის გულია, ცენტრალურ ქალაქთან გვაქვს საქმე. რამდენიმე პატარა ნაქალაქარი ჩანს, ეს ყველაფერი ერთიანი ორგანიზმი იყო. აქამდე გათხრების დაფინანსების საკითხი გაურკვეველი იყო, მინისტრის სტუმრობით კი ნათელია, რომ გათხრების დაფინანსება მოხდება. ეს არის კერძო ტერიტორია, აქ ხვნა-თესვა მიმდინარეობს და ამიტომ გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. სამხრეთი გალავანია გადარჩენილი და შიდა ნაწილი, ვფიქრობთ, რომ ძირითადი სამუშაოებიც აქ ჩატარდება,“ - განუცხადა „შირაქს“ კიაზო ფიცხელაურმა.

„კულტურის მინისტრი დედოფლისწყაროში მიმდინარე გათხრებით დაინტერესდა და პირადად გვესტუმრა. როგორც გაირკვა, გათხრები უფრო ფართომასშტაბიან რეჟიმში გაგრძელდება. თავის მხრივ, პროცესში შეძლებისდაგვარად მუნიციპალიტეტიც არის ჩართული. ამჟამად გათხრები ისე აქტიურად არ მიმდინარეობს და ეს ტერიტორია ჩვენი ძალებით შემოვლობეთ, რომ არ დაზიანდეს, ან საქონელი არ შევიდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ისტორია ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, არქეოლოგებს მომავალშიც, სრული მხარდაჭერა ექნებათ, რათა მეტი მნიშვნელოვანი დეტალის გამოკვლევა მოხერხდეს,“ - განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

2014 წლის ბოლოს, სატელიტური გადაღებების განხილვის შედეგად, დედოფლისწყაროს რაიონში, შირაქის ველზე აღმოჩნდა მასშტაბური დასახლება — ნაქალაქარის შიდა ციხე კილომეტრნახევარის სიგრძის გალავნითა და 12 მეტრის სიგანის თავდაცვითი თხრილით არის შემოსაზღვრული.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, „დიდნაურის ნაქალაქარის“ სამხრეთ ნაწილში, 100 მ/კვ მიწის ფართობზე დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა ექსპედიციამ ჩაატარა.

აღმოჩნდა ქვით, თიხითა და ხის მორებით ამოყვანილი, შვიდი მეტრის სიგანის გალავანი და სამი მეტრის სიგანის ჭიშკარი, კარგად მოკირწყლული სავალი ნაწილით. გალავანი მკვიდრ საფუძველზეა დაფუძნებული და რთული შიდა აგებულებით ხასიათდება. ზუსტი არაერთი პარალელი წინა აზიის ცივილიზაციების ნაქალაქარებზეა დადასტურებული.

უძრავ კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკული მასალით, ექსპედიცია ნაქალაქარს ძვ. წ. XII-IX სს-ით ათარიღებს.

სამინისტროს ცნობით, სატელიტური გადაღებების განხილვის შედეგად, რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის საიდუმლო გვირაბი გამოვლინდა, რომელიც, სავარაუდოდ, ნაქალაქარის წყალმომარაგების საშუალებას წარმოადგენდა. არქეოლოგების აზრით, სწორედ ამ გვირაბით, ქალაქი იმ პერიოდში შირაქში არსებული მდინარიდან მარაგდებოდა. გაირკვა სამაროვნის ადგილმდებარეობაც.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ნაქალაქარი მძლავრი მიწისძვრის შედეგად არის დანგრეული. არქეოლოგების ვარაუდით კატასტროფა ძვ. წ. IX ს.-ში მოხდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.01	სამშაბათი 20.01	ოთხშაბათი 21.01	ხუთშაბათი 22.01	პარასკევი 23.01	შაბათი 24.01	კვირა 25.01
დღე	-1 °	-1 °	0 °	1 °	0 °	0 °	1 °
ღამე	-2 °	-4 °	-2 °	0 °	-1 °	-2 °	1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K